

832
1950



ორგანო სერ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთის ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

ჩვენი დროშა

"NOTRE DRAPEAU"

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 5

გარები

თ გ ბ გ რ ვ ა კ ი 0

P a r i s .

1950

ქართველი ერი საფრთხეში.

ქართველი ერი ამჟამათ იმყოფება ღიადი საფრთხის წინაშე, დაიცავს და შეინახავს თავის რასიულ არსებობას თუ გადაგვარდება და გაქრება.

კაცობრიობის ცივილიზაცია ვითარდება, როგორც წინა წერილში ვთქვით, ორ სხვადასხვანაირ ხანჩე. ერთია სახელმწიფოს ბატონობა ერზე, მეორეა ერის ბატონობა სახელმწიფოზე. პირველი ცივილიზაციის ხალხები იდით ხანია გაქტენ, გადავგარდენ, სხვა ხალხებში აირიენ. მესაპოტამიის უძველეს ერები აღარ არსებობენ. ამ ქვეყანას ახლა დაპატრიონებია არაბები. მოსკოვის ახალი ნავუქოდონოსორი ასეთივე ბოლოს უმშადებს კაცობრიობას. რაც ძველმა ნავუქოდონოსორმა მოიმოქმედა პატარა ტერიტორიაზე, ახალი, მისი მოაღილე, მასვე უმშადებს მსოფლიოს.

მეორე ცივილიზაციის ერები არხებობენ და ბატონობენ დღევანდლამდე. მათ ემუქრება პირველი ხაზის აღმდგენელი და თავის საკუთრათ გამომტაცებელი—რუსეთი. ახლა ამ ორ შობირდაპირე ბანაკს შორის არის დაჯახება, «ცივი ომი», რაიცა ადრე თუ გვიან გათავდება ერთ-ერთის გამარჯვებით.

ამ სოფლიო ჭიდილშია დღეს მომწყვლეული საქართველო, გადაყვანილი ძალით მოსკოვის მიერ პირველ, სასიკვდილო საფუძველზე. მისი დაბადება, განვითარება, გაზრდა შეუჩერებლივ ვიღოდა მეორე ხაზით, რამაც ის გადაარჩინა გაქრობას. მხოლოდ ახლა პირველათ, ამ ცეკვაცხარა წლის წინეთ ის გახდა მსხვერპლი მოსკოვის და იმყოფება საშიშარ მდგრადარეობაში.

რატომ პირველი ხაზი აქრობს ხალხებს, მეორე კი ინახავს? ყველა ორგანიზმს, ინდივიდუალურს თუ სოციალურს აქვთ საკუთარი ენერგია მოქმედების, მუშაობის, თავის-თავის პატრონობის და შენახვის. თუ ეს თვისება დასუსტდა, დავარდა, გაქრა—ასეთივე ბედი ეწევა მის მატარებელ არსებას, ერს და საზოგადოებას. პირადი და ნაციონალური ენერგიის დასუსტება თან ითრევს მთელ ერს, რომელსაც ეკარგვის ნების-



ყოფა, თაოსნობა, თავის აწყუოშე და მომავალზე ფიქრი და მხადება. აი ამ თვისებების გაბატონებამ პირველი ცივილიზაციის ხალხებში დაკარგა ისინი და გადაიქცენ არქეოლოგიურ ნაშთებათ. ერს, რომელსაც მთავრობა და მისი მოხელეები ბატონობენ, არ შეუძლია თავისი მოფიქრებით და უნარით რამე გაკეთოს, თვითეულ ნაბიჯს, თვითეულ მოქმედებას, თვითეულ აზრს უკარნახებს მთავრობა და მას უნდა დაემორჩილოს—ასეთ წყობაში არ არის პიროვნება, არ არის საზოგადოება, არის მხოლოდ სახელმწიფო და მისი აგნეტები, სწორედ ეს წყობილებაა, რაიცა დღეს ბრძანებლობს საბჭოთა იმპერიაში და ეს ანტიკუმანიური წყობა გამოაქვთ ახალ ცივილიზაციათ. რაყი მთელი ერი ეკონომიურათ, კულტურულათ, პოლიტიკურათ სავსებით დამოკიდებულია მთავრობაზე. ცხადია მისი დაცემის კარები გალებულია. აქ ადამიანი არაფერია. ხელისუფლება ყველაფერია. მეორე ცივილიზაცია ეყყარება ადამიანებს. ინდიგიდუალურ ეკონომიკას, თვითეული პიროვნების გამჭრიახობას, უნარს და ნებისყოფას. აქ ზოგი დიდი შეძლებისაა, ზოგი ღარიბია, მაგრამ ორივე ალტერნატივითა თავისი ჩერენის აწყობის თაოსნობით; სახელმწიფო ამ ურთიერთობაში უძლურია, ის თვით არის დამოკიდებული პიროვნებებზე.

ქართველ ერს თავის სამიათასი წლის ისტორიაში პირველათ მხოლოდ ახლა თავს დაახვია საბჭოებმა თავისი ახლათ გამოცხადებული უძველესი წყობილება. არც ერთ დამპყრობელ ერს, არც ერთ სარდალს, დაწყებული ჩინგისხანიდან არ შეუცელია საქართველოს საარსებო საკუთარი შენობა და თავისი ნაციონალური წესები არ შეუტანია. ყველა ისინი კმაყოფილდებოდენ ვადასახადების ალებით, ახალი ხარკის გაწერით. საქართველოს მეფე მირიანი იყო სპარსელი, მაგრამ თავისი მართვა-გამგეობის წესები არ აუგია სპარსეთის წესებზე; მან იცნა არსებული წყობა, ის გაამაგრა და ბოლოს ქრისტიანობის მიღებით სავსებით გამოეთიშა სპარსეთს. მხოლოდ ახლა, ამ ახალ ტრაში, მოსკოვის ძალმომრეობით ქართველი ერი იქნა გამოთქმული თავისი სამიათასი წლის ისტორიული საფუძველიდან და ძალით გადაყვანილი მისთვის სრულიად უცნობ ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძველზე. საქართველო მთელ თავის არსებობის მანძილზე ეწეოდა ბრძოლას თავისუფლებისთვის, მუდმივ თავის დაცვას და თავისი ისტორიული გზის შენახვას. აი ეს გზა ახლა გაწყვეტილია, ძალით გადაყვანილია სხვა ერის ძველ გზაზე და მის წინაშე დგას დიდი ამოცანა: შეინახოს თავისი თავი, თავისი სული და აზროვნება. ის ვერ მიიღებს, არ მიიღებს

სახელმწიფოს, ისიც უცხოს, მასზე გაბატონებულს, მის მონა-
 მორჩილათ, მის ჯოგათ გადაქეცვას. ის არ შერიგებია მონ-
 გოლთა ბატონობას საუკუნეთა განმავლობაში, ის მუდამ იყო
 და რჩებოდა თავის საზოგადოებრივ ნიადაგზე, თავის მოქმე-
 დების ბატონ-პატრონათ.

ერთისიტყვით, საქართველოს არასოდეს არ განუცდია
 ისეთი დაპყრობა, როგორიც მას თავს მოახვია საბჭოებმა.
 ის განვითარდა საკუთარი ნივთიერი და სულიერი თვისებე-
 ბით. მას აქვს დაბადებიდან საკუთარი განვითარებითი ხა-
 ზი, ეს საფუძველი მისი ხანგრძლივი არსებობისა. როგორც
 კი ეს ხაზი შეირყევა, უცხო ერის სავალ გზას თავისათ მი-
 იღებს, მისი დაცემა დაწყებულია, მისი გაქრობა მოახლოვე-
 ბულია.

ამ საშიშროებას ბოლო მოუღო თავისუფალ საქართვე-
 ლომ თავისი ახლი კანონებით: წერილი საკუთრება ხალხს,
 თვითეულ პიროვნებას, სხვილი საკუთრება ერს, რასაც და-
 ერთო შესაფერი პოლიტიკური და სოციალური წყობა. საქა-
 რთველო ამ რეფორმებით დარჩა და გამაგრდა თავის ისტო-
 რიულ გზაზე.

და აი ახლა ამ ჩვენი არსებობის ფუძეს ლახვარი ჩასცა
 მოსკოვმა, მოიმოქმედა, ის რაც არასოდეს არ მოუმოქმედე-
 ბია რუსის მეფებდასაც. მათ ჩვენსში არ შემოუღიათ რუსეთში
 გაბატონებული მიწის საერთო მფლობელობა წოდებული
 ობზრინა. ჩვენი ხალხი ცხოვრობდა თანახმათ თავისი ზნე-
 ჩვეულებისა.

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა
 მეექვეს საუკუნეში. მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს
 აზნაურებმა და მთავრებმა. გლეხებს ჩამოართვეს საკუთრება
 და დაიყმეს. მაგრამ ეს იყო არა დიქტატურა სახელმწიფოსი,
 არამედ კერძო პირთა ურთიერთშორისო ბრძოლა. ბატონი
 ყმას ადგებდა ხარჯს, ყმა აძლევდა ბატონს შემოსავლის ნა-
 წილს. იყო ბრძოლა კერძო პირთა შორის არსებობისათვის.
 არასოდეს მოსახლეობის ცხოვრება არ ყოფილა მთავრობაზე
 დამოკიდებული. რუსეთში კი, პირიქით, ფეოდალობა არ არ-
 სებოდა, მისი ადგილი ეკავა სახელმწიფოს და ხალხის მთე-
 ლი ცხოვრება იყო მიერ ნაკარნახევი.

ქართველი ხალხი არ აღზრდილა ასეთ საფუძველზე, არ
 აუღია თავისთავზე მოხელეთა ბატონობა, მათი ბრძანება და
 განკარგულება თავის პირად საქმეებში. მხოლოდ ახლა ბოლ-
 შევიკური დიქტატურა მას თავს ახვევს ძველი რუსეთის წყო-
 ბილებას, გადაყავს ის სასიცოცხლო ცივილიზაციის გზიდან
 სასიკედილოთ ცივილიზაციის გზაზე.

და ისმება საკითხი: როგორ, რა საშუალებით შეუძლია ქართველ ხალხს შეინარჩუნოს ძველი სული და გული, ძველი ადათ-ჩვეულებანი? ამისი საშუალებაა ერთი—დარჩეს ძველ აზროვნებაზე, არ შეურიცდეს არსებულ წყობილებას და მიიღოს ყოველივე ლონე მის ულლის შესამსუბუქებლათ და ბოლოს მთლათ გადასაგდებათ.

ამ მიზნით ქართველ ხალხმა უნდა მიიღოს შემდეგი ზომები:

1. მან უნდა შეინახოს თავისი ნაციონალური სულის-კვეთება და ნებისყოფის სიმაგრე.

2. არ იცნოს მისი დოქვანდელი ეკონომიური წყობა თავის წყობათ და მისაღებათ.

3. მას დაუპირდაპიროს მუდამ დამოუკიდებელი საქართველოს მიერ მიღებული და გატარებული სოციალური ფუძე.

4. ის დღეს ემორჩილება უცხო ძალას, მუშაობს მისი ბრძანებით, მაგრამ სულიერათ, აზროვნებით მას ეთიშება და თავისუფალი საქართველოს დროშის ირგვლივ-გროვდება.

5. ის იბრძვის იმ მიზნით, რომ მიმდინარე ხანაში გააფართოოს თავისი საკუთარი სამუშაო შესაძლებლობანი, თავისი საკუთარი მიწის რაოდენობა, თავისი მუშაობის და თავის რჩენის საშუალებანი დამოუკიდებლათ მთავრობისა.

6. სახელმწიფო ეკონომიკის საგანია ერის სხვილი საკუთრება და არა კერძო წვრილი მეურნეობა, ხელოსნობა და ალებ-მიცემობა.

7. რაც შეიძლება მეტი უფლება პიროვნებას, ხალხს, ნაკლები უფლება სახელმწიფოს და მის აგენტებს.

ბრძოლა ამ ნიადაგზე, ამ მოთხოვნილებათა განსახორციელებლათ შეინახავს ქართველი ერის ძველ სულიერ სიმაგრეს, გამოყენებით საქართველო საბჭოთა ეკონომიურ ძალმომრეობას და იქნება მომზადებული იმ მომენტისათვის, როცა საბჭოთა უკანასკნელი ზარი დაირეკტდა და საქართველო განთავისუფლდება.

ნ. ქორდანია.

მცირე შენიშვნები

დ ი ღ ა გ ბ ი ბ ზ ე .

ირკვევა, რომ მიმდინარე წელს საერთაშორისო გართულებათა ცენტრათ შორეული აღმოსავლეთი გვევლინება.

დღემდე «ცივი ომის» ყველა პერიპეტიიებთა ასპარეზად ეკრაპის კონტინენტი იყო. ბერლინის ბლოკადა, საბერძნეთის სამოქალაქო ომი, ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის ორბიტაში საბოლოოოთ გადასვლა, ტიტო; აი, რამ შთანთქა დასავლეთის მთელი ყურადღება და ამიტომაც აქ იყო გადმოტანილი ანგლო-საქსონთა მთელი პოლიტიკური, ნივთიერი და სამხედრო არსენალი.

შორეულ აღმოსავლეთშე კერძო შენიშვნებს და ისიც დროგამოშვებით, თუ წააწყდებოდა დასავლეთის დიდ პრესაში მკითხველი.

უკირად სცენაზე გამოგორდა მსგავსად deus ex machina-ს ვეებერთელა ამბავი: ჩინეთის გაბოლშევიკება.

როგორ მოხდა ეს?

შეგვიძლია დაუშეათ, რომ მოსკოვმა მარჯვე მანიოვრით იგემა ასეთი დიდი გამარჯვება? გარეგნული შთაბეჭდილება სწორედ რომ ასეთია; მაგრამ სინამდვილეში ჩინეთში დასავლეთის მარცხს, რასაკვირველია, მოსკოვის დივერსიის შედეგათ ვერ ჩავთვლით.

მოსკოვმა სამი წელი იბრძოლა ევროპის თავდაცვის კედლის გასარღვევად; ამ ფრონტზე, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, იგი დამარცხდა, ახლა, თანაბეჭდ მისი სტრატეგიისა, მან მოქმედების ცენტრი შორეულ აღმოსავლეთში გადაიტანა, სადაც ერთ წუთსაც მას დასავლეთის საწინააღმდეგო მუშაობა არ შეუწყვეტია და როცა ამ მუშაობის ნაყოფი მომწიფდა, იგი ჭირნახულს საწყობში აღავებს.

ჩინეთში მოსკოვის მუშაობას 28 წლის ისტორია აქვს. ჩევ აქ შეს ვერ შევეხებით; მხოლოდ ჩინეთის დღევანდელი მდგომარეობის გასაგებათ, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ მის მომენტებზე მკითხველის ყურადღების შეჩერება.

ჯერ კიდევ 1918 წ. ნიშანში ამოილო სტალინმა ეს ქვეყანა. ტროცკისთან პოლემიკაში მან საერთაშორისო რევოლუციის წინასწარ პირობათ ჩინეთის გაბოლშევიკება წამოაყენა.

1927 წ. პარტიულ კონგრესზე სტალინის მოხსენებას საფუძვლათ შემდეგი თეხა დაედგა: ჩალხთა დიდი უმრავლესობა აღმოსავლეთში მოსახლეობს; კაპიტალისტურ ქვეყნებში მხოლოდ კაცობრიობის ერთი მესამედია (363 მილ.) მოკალათებული; მაშასადმე, საჭიროა ამ უმრავლესობის გამოლენება, მისი დასავლეთის წინააღმდეგ დარაზმეა და საერთაშორისო რევოლუციისათვის ნიდაგი მომზადებულია.

ასეთ გამარტივებულ მშრალ ციფრებზე დამყარებულ კონცეპციას მარქსიზმთან რომ არაფერი არა აქვს, ეს სხვა საკითხია; მხოლოდ ლენინ-სტალინიზმი, რომ კოლონიალურ ხალხთა რევოლუციებს თანამედროვე ცივილიზაციის და-სამშობ მთავარ საშუალებათ თვლიდა და თვლის, ამას მოწმობს მთელი მათი 30 წლის მუშაობა.

მათ-ცხე-დუნი, დლევანდელი ჩინეთის დიქტატორი, სტალინის ძევლი ნაცინბია; კიდევ 1931 წ. მას შეხვდა კომინტერნის სხვა წევრებისათვის უჩვეულო პატივი: სტალინის პირადი აუდიტიცია. კრემლის ბატონმა ამგვარად დააფასა მოლოოვთან საუბარში ახალგაზდა მათ: «ეს ჩინელი გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე მათვაის») ყველა მათხოვრები ერთად აღებულიო.

ამ დღიდან იწყება ამ ორ პირთა თანაშრომლობა და ვინც ამ შეუწყვეტელ ურთიერთობას გაეცნობა, მასში შორეულ აღმოსავლეთის დლევანდელი მდგომარეობა გავვირვებას ვერ გამოიწვევს. თვითეული საფეხური მათი გამარჯვებისა უამრავ მსხვერპლთა სისხლით არის მოარწყული; ძვირად დაუჯდა ჩინეთის ხალხს სტალინ-მათ-ცხე-დუნის დლევანდელი ტრიუმფი; მაგრამ უნდა შეენიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი არ მიეწერება მთლიანათ მათ თაოსნობას და შეუპოვარ ბრძოლას; ამ გამარჯვებაში წილი მიუძლვის იმათაც, ვისთვისაც ეს გამარჯვება დიდ დამარცხებათ უნდა ჩაითვალოს.

დაუკარებელია ასეთი რამ, რომ ეს ფაქტი არ იყოს. შორეულ აღმოსავლეთის ამ კუთხეში ბოლშევკიზმის პოტენციალურ მტრებათ იაპონია, ჩინეთის ნაციონალიზმი და დასავლეთის სახელმწიფო ფონდი ითვლებოდენ; სწორედ ამ ძალებთა შორის შინაურ წინააღმდევობამ ნიადაგი მოუმზადა და ხელი შეუწყო ჩინეთის გაბოლშევკიებას. ჩინეთ-იაპონიის ომს ამერიკა-იაპონიის სამკვდრო-სახიცოლცხლო შეტაკება მოჰყვა, რასეთი განხჩე დგას, «ნეიტრალიტეტს» იცავს, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის ჩინეთში რომ პონიკიები მოიპოვოს ომის გათავებისას. როცა საერთო ბრძოლის ველზე ბურუსი გაიფანტა აღმოჩნდა: იაპონია საესებით განადგურებული, ტშანგ-კაი-შეკის ჩინეთი სისხლიდან დაცლილი, ამერიკის მდგომარეობაკი იმდენათ შერყულო, რომ იძულებული გახდა ჩინეთს საესებით გაცლოდა. ასეთ რამებზე ჩვენში იტყოდენ: «შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!»-ო.

ჩვენ აქ არავის ჭკუას არ ვასწავლით, რაც თავხედობაში ჩაგვეთვლებოდა და უფრო ნაკლებ ვინმეს ნიშს უგებთ; მხოლოდ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი რამ, რაც მუდამ 30 წლის განმავლობაში მეორდება, რაც დაკანონდა: მოსკოვს

^{*)} მათვაია—მოსკოვის ქუჩა, სადაც მოთავსებულია კომინტერნის სადგომი. ცნობა ამოდებულისა «Stalin-tern» Ypsilon-ისა.

ყოველ გართულების დროს სსნა მტრის ბანაკიდან მოდის. ძნელია იმის გამოცნობა თუ რასთან გვაქვს საქმე; ფარალურ აუცილებლობასთან, თუ ადამიანურ შეცდომასთან?

14 თებერვალს მოსკოვის ჩინეთის მეგობრობის ხელშე-კრულებაც ამ გარედან ხელის შეწყობის ნაყოფათაც უნდა ჩაითვალოს.

სტალინმა არა ჩვეულებრივი ზეიმით ჩატარა ამ აქტის წარმოშობა. უცკეცელია მას უფლებაც აქვს გამარჯვება იდლე-სასწაულოს; ცხადია, რომ აღმოსავლეთის ხალხებს ძლიერ შთაბეჭილებას მოახდენს სტალინის «დიდ სულოვანობის» მაგალითი.

მან ჩინეთს დაუბრუნა ის, რაც «მტაცებელ» კაპიტალი-სტურ ქვეყნებმა მოსკოვს იალტაში მიართვეს.

მაო-ცხე დუნბა აღადგინა ტბანგ-კაი-შეკის მიერ ფეხ-ქვეშ გათვლილი ჩინეთის ეროვნული ლირსება.

მოსკოვის ტაცილ ხელს რომ ვიცნობთ, კარგათ გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა ჩინებული საპროპაგანდო ორკეს-ტროვკა აეწყობა ასეთ ლეიტ-მოტივებზე.

განსაკუთრებით ძვირფასია მოსკოვისათვის ეს მკეთრი იარაღი შორეულ-აღმოსავლეთში დღვევანდელ გართულებულ მომენტში; მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა ცეცხლის ალშია გახვეული; ინდო-ჩინეთი, ეს აღმოსავლეთის ხაბერ-ძნეთი, ძალთა გამოცის პუნქტად არის გადაქცეული და ცხადია სტალინი თავის მოკავშირე პო-ში-მინს თუ ჯარით ვერ ემარება, საპროპაგანდო მასალას მაინც არ მოაქცებს.

მიუხედავათ ამისა ნუ წარმოვიდგენთ, რომ ჩინეთ მოსკოვის ხელშეკრულება მოსკოვის უზრდილო გამარჯვებაა. მას თან ახლავს ცუდი მხარეებიც. ჩინეთის ზურგზე წამოკიდება მოსკოვისათვის უმძიმესი ტვირთია; ციფრებსაც თავის ფილოსოფია აქვს. 400 მილიონიანი მოკავშირე კარგია, მაგრამ, როცა ის ლარიბია, მას მოვლა სჭირია; მისი ნივთიერად ხელის გაწყობა, სამხედრო და ინდუსტრიალური შეირალება, ისეთი დიდი ამოცანაა, რომელიც, არ ვფიქრობთ, სტალინს ხეიმის დროსაც ავიწყდებოდეს.

მისთვის ჩინეთის ისტორია უცნობი რამ არ არის; მან, ალბათ, ამ ხალხის დამახასიათებელი თვისებებიც კარგათ იცის; კონფუნციის ნაანდერძი—ჯანსაღი პრაქტიკიზმი.—არ გვგონია, ამ ხალხს დავიწყებისათვის მიეცეს.

აი როგორ ახასიათებს იგივე მაო ცხე-დუნს, ერთი კომინტერნის ცნობილი წევრი: «იგი (მაო) მუდამ ხელმძღვანელობდა სამი პრინციპით: 1) ჩინური სიბრძნე უფრო დრმაა და წინდახედული, ვიდრე კომინტერნისა; 2) ბრძოლაში და-ეყრდნოვნების შევაგულ მცხოვრებ ვლეხობას და 3) მოსკოვში ხშირ მოგზაურობისაგან თავი შეიკავევ.

დღეს ეს ჩინური სიბრძნე უკარნახებს მას და მის ქვე-

ყანას რუსეთთან ყოფნას. ამ უკანასკნელმა, სულ ერთია რა მოტივებით, მას დაუბრუნა იალტაში წარმოქმდებრი ტერიტორიები და წარმოიდგინეთ დამოუკიდებლბაც, ვინაიდან რუსეთის 1905 წ. პრივილეგიების აღდგენა, ეს ჩინეთის სუვერენობის ლახვარის ჩაცემა იყო.

მართალია, მოსკოვის პარტნიორობას დიდი რისკი სდევს; მაგრამ საბოლოოთ «ჩინურმა სიძრძნემ» რომ უნდა სძლიოს კომინტერნის გეგმები, ამაში ჩვენ ეჭვი არ შეგვდის: ასეთია ცხოვრების განვითარების კანონი.

ამჟამათ კაცობრიობა შეიარაღების ფსიქოსტია გახვეული: ბომბი ატომიური, ბომბი წყალ-ბადისა (*hidrogène*). ერთისიტყვით, იმაზეა ლაპარაკი, რომელი ბომბი რამდენ მილიონ ადამიანს დახოცავს, რომელი კიდევ რამდენ სივრცეზე იმოქმედებს და სხვა. სწყვეტს კი შეიარაღების დოლი ორ ბლოკთა შორის დავას?

დასავლეთის ნივთიერი და ტექნიკური უპირატესობა უდავოა. თუ ექსპერტებს დაუჯერებთ, ჩინეთის ამოსაწყვეტათ რაღაც ათონდებოდებოდა საჭირო; რუსეთი დლემდე აღვითო იქნებოდა დედა-მიწის ზურგიდან, რომ მარტო ბომბზე იყოს საქმე.

განა ეს არ მოწმობს, რომ თანამედროვე კრიზისის მარტო იარაღით გადაჭრა შეუძლებელია?

ვიმეორებთ, დასავლეთი სამხედრო ტექნიკით და ნივთიერად უძლევებია. ამ ბანაკის სისუსტე მის შემადგენლობაშია, მასში მოკალათებული სახელმწიფოებრივი, სოციალური და ეროვნული ანტაგონიზმი ბორკავს და გასაქანს არ აძლევს მის პოტენციალურ ძალას.

მართალია, კომუნისტური საფრთხის შეგნება ბლოკში შემავალ ელემენტებს აერთიანებს, მაგრამ არა იმდენათ, რომ ამას დაუმორჩილონ სახელმწიფოებრივი, თუ სოციალური ეგოიზმი. დლესაც, როგორც გუშინ, გრძელდება სტრილინგ-დოლარის ომი, ნავთის ირგვლივ ბრძოლა და კოლონიების გამო ჯახი; აი კიდევ უფრო განსაციითოებელი სურათი: დასავლეთში მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა ანტი-კომუნისტურია, საფრანგეთშიცაც მცირდება მოსკოვის გავლენა; მიუხედავთ ამისა ჩვენ ვერ ვხედავთ, გარეშე ინგლისის და სკანდინავიისა, ასეთი დიდი ფაქტორის გამოყენების ცდას იმათ მიერ, ვინც ამისათვის მოწოდებულია, სახეში გვყავს სოციალისტური პარტიები; ამ უკანასკნელთა გაურკვევლობაშ და პოლიტიკურმა უხასითობამ მუშათა კლასი დააბნია და ბრძოლის უნარი გაუქარწყლა.

ეროვნული თავისუფლების პრინციპი, ხარტიაში აღიარებული, ამჟამათ პოლიტიკურ მიზანშეწონილობის საკითხად გადაიქცა: იგი სავალდებულოა ეკრობის კონტინენტზე, «რეკინის ფარდის» იქით კი რუსეთის შინაურ საქმეთ არის გამოცხადებული.

ამრიგათ, ჩვენ ვხედავთ, რომ დღესდღეობით დასავლე-
 თის ბლოკი თუმცა წარმოადგენს განუჩომელ პოტენციალს,
 მაგრამ სამაგიეროთ მას არა აქვს არც გარკვეული ბრძოლის
 პროგრამა, არც მდგომარეობასთან შეფარდებული ტაქტიკა
 და არც შესაფერისი ორგანიზაცია; აი ამას უნდა მოეღოს
 ბოლო. დასავლეთის დემოკრატიამ აშკარად უნდა აღმარ-
 თოს დროშა, რომლის ქვეშ დატება ადამიანის და ერის თა-
 ვისუფლებისათვის ყველა მებრძოლი. მხოლოდ ასეთ დრო-
 შას შეუძლია დაუპირდაპირდეს მოსკოვისას და გამოაცა-
 ლოს ნიადაგი მის დემაგოგიას, ეს უკანასკნელი მთავარი მისი
 იარაღია და თუ ეს მას, როგორც დღემდე, ხელში შერჩა,
 გვითქვამს და ვიმეორებ ვერავითარი ბომბი თანამედროვე
 ცივილიზაციას ვერ გადაარჩენს.

ესთი ცნობილი ფრანგი—მიმომხილველი დღევანდელ
 პერიოდს მიუწენის პერიოდათ ნათლავს. ამით მას იმის თქმა
 უნდოდა, რომ ხალხის თანაგრძნობა რუსეთთან შეთანხმების
 მხარეზეა. ამერიკაშიდაც გაძლიერდა ამ ბოლო დროს ასე-
 თივე სულისკვეთება: კონგრესის გავლენიანი წევრები და
 დიდი პრესა მოითხოვენ საგარეო პოლიტიკის გადაშინჯვას;
 ეს კი ტრიუმანის და ექსპონის წინააღმდეგ არის მიმართული,
 ჩერჩილიც არ ჩამორჩა ამას და მან ის საარჩევნო კომპანიის
 მთავარ ლერძათ გამოაცხადა.

რას ნიშნავს ეს გაუთავებელი წლაპარი? წლაპარი, ვლა-
 პარაკობთ, იმიტომ, რომ არც ერთ რუსეთთან შეთანხმების
 მომხრეს, თავის გულის სიღრმეში, მისი შესაძლებლობა არ
 სწამს. მიუხედავათ ამისა მოლაპარაკვებას კატეგორიულათ
 მოითხოვენ და ეს ზავის მანიოვრი როდია, არამედ გულ-
 წრფელი სურვილია.

უკანასკნელ გამოგონებათა საშინელებამ გამოაღიძა
 ხალხური ინსტიტიტი; საპროტესტო ყვირილი პირველ რიგში
 გამომგონებლებთა წრიდან გაისმა, რამაც გამოიწვია პსიქო-
 ლოგიური შოკი.

ატმოსფერია შიშის გრძნობით გაიყდნოთა; ყველა ხედავს,
 რომ მომავალი ომი კაცობრიობას განადგურებას უქადის;
 ამ პირობებში რუსეთთან მოლაპარაკების სურვილი უფრო
 პსიქო-ატოლოგიური მოვლენაა, ვიზრე განწომილი პოლი-
 ტიკური განწყობილება; მასთან სალი განსჯით შებრძოლება
 შეუძლებელია. სასარგებლოა კი ასეთი შებრძოლება? ჩვენის
 აზრით, არა: ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ დრო სტალი-
 ნისათვის მუშაობს; დრო იმისთვის მუშაობს, ვინც მას
 იყენებს.

ამ შემთხვევაშიდაც ასეა: თუ დასავლეთი, ამ მორიგების
 უკან სირბილში, ხელს არ შეუმობს მის თავდაცვის საქმეს,
 შისთვის ეს დრო დაკარგული არ იქნება.

83. ბეჭედებითი.

ჩ ვ ა ნ ი დ ა მ ი ს ს ა ტ კ ი ვ ა რ ე ბ ი .

ორი საკითხი იქცევს ახლა საზოგადოების უმთავრეს ყურადღებას: ომის საშიშროება, ადამიანისთვის წარმოუდგენელ სიმკაცრით, და სახელმწიფოთა შექავშირება, ხალხთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით. ურიცხვი ყრილობა ხდება სხვადასხვა ადგილს და უთვალავი წიგნი და საგანერო წერილი იბეჭდება სხვადასხვა ენაზე ამ საკითხების გამო.

დიდი, რთული საკითხებია და მათი ბედნიერათ მოგვარებით—ომის თავიდან აცილებით და ხალხთა შორის მეგობრულ კავშირების მოწყობით—უსათუოდ ყველა თავისუფლად ამოისუნთქავს. ხოლო ამ საკითხების გარდა, კიდევ არა ნაკლებ რთული, მთელი რიგი საკითხები აწუხებს კაცობრიობას. ეს საკითხები უმთავრესად საზოგადოების შინაურ ცხოვრებას შეეხება, აյ ისკვნება, აյ მწიფებრება და შემდეგ სხვა ქვეყნების მდგომარეობას გადაებმის, როგორც საერთაშორისო მოვლენა. ესაა საკითხები სოციალურ და ეკონომიურ ხასიათის.

არასოდეს, ამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში, სოციალურ-ეკონომიური საკითხები ისე მწვავეთ არ ყოფილა დასმული კაცობრიობის წინაშე, როგორც ამ უკანასკნელ დროში; ყველგან, ყველა ქვეყნებში, ისინი დუღილში არიან, ნორმალურ კალაპოტს სცილდებიან და არსებულ წესებს და ჩვეულებას სასიკვდილოთ ემუქრებიან. ხოლო ჯერ კიდევ არ სჩანს ყველასთვის ნათლად, თუ საიდან უნდა მოვიდეს და ვის მოაქვს არსებულ მდგომარეობის შემცვლელი და იმის დამაწინარებელი საშალებანი.

საუკუნეთა განმავლობაში ერთს წესწყობილებას მუდამ სცვლიდა მეორე, არა ერთხელ შეცვლილა თვით საფუძველი საზოგადოებრივ ურთიერთობის, მაგრამ არასოდეს ცხოვრების განახლებაში საზოგადოების ისეთ ფართო წრეებს, ისე შეგნებულათ და დარაზმულათ, არ მიუღია მონაწილეობა, როგორც ეს ჩვენ დროში ხდება. და საგულისხმო სწორედ ის არის, რომ ასეთი მდგომარეობა მაინც არ იძლევა გარანტიას იმისას, რომ განახლებული ცხოვრება პოლიტიკურ დაჯუფებათა, მათი ახლანდელ პროგრამების და მათი დლევანდელ ხელმძღვანელობის გზით წავა და, თუნდაც დროებით, არ გაყვება იგი სტიქიას. ამას გვაფიქრებინებს მრავალი მოქლენა, რომლის მოწმენი დღეს ჩვენ ვართ: კიდევ ძლიერია ეკონომიურ ცხოვრების ბუნებრივი კანონები და თეორიაში საუ-

ცხოვოთ დახატულ წესებს ცხოვრების სინამდვილე ხშირად სულ უკულმა ატრიალებს.

ორჯელ, 25 წლის განმავლობაში, გადატანილმა უდიდეს ომმა და იმით გამოწეულმა წინად დაკროვილ სახალხო სიმდიდრის განადგურებამ, საუკუნოებით შექმნილ ეკონომიურ საფუძვლების რყევამ, უჩვეულო ეკონომიურ კრიზისებმა, ხალხთა შორის ნორმალურ ურთიერთობის მოშლამ, და მორალის შელახვამაც, დიდი გაელექნა იქონია ხალხთა ცხოვრებაზე, არაჩვეულებრივი ზომები გამოიწვია და ბევრი რამე, წინად რომ უდავოთ იყო მიჩნეული, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში, ახლა სადაცო შეიქმნა და ზოგჯელ სავსებით უკუგდებულიც. ამ გარემოებას უზედებოთ არ ჩაულია და იმ ქვეყნებში, სადაც ხალხმა ნივთიერად და მორალურად მეტობასაჭირო გადაიტანა, იქ მეტი გართულებანი წინ გადაეღობა დემოკრატიას, კერძოთ დემოკრატიას სოციალისტურს.

განსაკუთრებულ ურადლების ლირსია ის გარემოება, რომ ბევრ ქვეყანაში ხალხმა ნორბა სოციალისტურ პარტიებს გამოუტარა და ესენი იძულებული შეიქმნენ ქვეყნის მარტოველობა აელოთ ხელში კაპიტალისტურ წესწყობილების გარემოცულობაში და დიდ გამანადგურებელ ღმის გათავისებისთანავე, უდიდეს ეკონომიურ კრიზისის ხანაში, ან მარტო, ან სხვა დემოკრატიულ პარტიებთან კოალიციაში. ეს გრძელებაც, სხვათა შორის, დასაბამი შეიქმნა მრავალ სიძელის. ეს სიძელეები, განაცადა ერთხელ საფრანგეთის დემოკრატიულ სოციალიზმის ლიდერმა ლეონ ბლიუმა, გამომდინარეობენ იმ ფაქტიდან, რომ სოციალისტური პარტია ხდება, მთლიანა თუ ნაწილობრივ, წარმომადგენელი, მოურავი (le gérant), სწორედ იმ კაპიტალისტურ რეჟიმის, რომელიც მის მიერ განწირულია და რომლის მოსპობა და შეცვლა მას უნდაა (საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მე-38 კონგრესზე 1946 წ.).

ქვეყანა დიდს და გაბედულ რეფორმებს მოითხოვდა გასაჭირიდან გამოსასვლელათ, საწმარავო და არაჩვეულებრივ ზომებს; დრო კი არ იყო ამ ზომებისთვის ნიადაგის მოსამზადებლათ. ამიტომ ბევრი ზომა გადმოლებული იქმნა არსებულ ან უკვე განვლილ არაჩვეულებრივ პირობებიდან, საომარ მდგომარეობიდან.

ასეთია, უპირველეს ყოვლისა «პლანი» ანუ სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოების სამუშავებულო საქმეებში, ამ საქმეების წინასწარ შემუშავებულ გეგმით და ზევიდან მოცემულ განკარგულებებით წაყვანის მიზნით.

«დაგეგმული» ანუ «განკარგულებული» მეზრნეობა.

ამ წესს სხვადასხვა სახელს უწოდებენ: ინგლისში Planning, გერმანიაში Planwirtschaft, საფრანგეთში ხან Planisme და ხან Economie dirigée (dirigisme). მე ვფიქრობ, უკანასკნელი სახელწოდება უფრო შეეფერება იმ წესებს, რომლის შესახებ ახლა დავობენ და რომლის გამო ჩვენც ქვემოთ ვგავქვს ლაპარაკი: «განკარგულებული მეურნეობა» ანუ მეურნეობა, წაყვანილი ზევიდან მოცემულ განკარგულებებით; თორებ თავისუფლად ან ურთიერთ შეთანხმებით შემუშავებულ გეგმის საჭიროება მეურნეობაში არავისთვის სადაც არ არის.

«პლანის» ანუ გეგმის სახალხო მეურნეობაში შეტანას უსათუოდ დიდი დადგებითი მნიშვნელობა აქვს პრინციპიალურათ, რადგან, ცნობილია, რომ დღევანდელ კაპიტალისტურ წარმოების ერთი ნიშნობლივი თვისება—თვისება უარყოფითი—არის წარმოებაში გამეცებული არეულობა, ანარქია, გამომწვევი ეკონომიკურ კრიზისების ხან ზედმეტ ნაწარმოების ბაზაზე დაგროვებით და ხან იმის არა საკმარისეთ მიწოდებით. ყველას ახსოვს, რომ ამ მეორე დიდი ომის წინ იყო ქვეყნები, სადაც მოსავალი ისე სჭარბობდა მოთხოვნილებას, რომ, მაგალითად, ყავას ზლვაში ყრიდენ და ხორბალით ლოკომოტივებს ახურებდენ ხოლმე, ნახშირის მაგირ; ხოლო ამავე დროს იყვნე ქვეყნები, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ეს საგნება სანატურელი იყო...

ვინ იტყვის, რომ ასეთ პირობებში სასარგებლო არ იყოს «გეგმა» ანუ საქანონის ანგარიშით დამზადება და იმის სამართლიანათ განაწილება? თეორეტიულათ ყველაფერი ამის სასარგებლოთ ლაპარაკობს. მაგრამ ცხოვრებაში, დღევანდელ სინამდვილეში, მეურნეობის «გეგმას» ბევრი დაბრკოლება წინ გადაელობა და ეს ზომა, სასარგებლო და ხშირად აუცილებელიც არაჩვეულებრივი მდგომარეობის შესამსუბუქებლათ, ხანგრძლივათ და დაცვანდელ ეკონომიკურ ურთიერთობის საერთოდ მოსაწყობათ გამოუსადეგარი შეიქმნა.

უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ «განკარგულებული მეურნეობა»—იმ პრაქტიკის მიხედვით, რომლის მოწმენი ჩვენ ვართ—არ სწოდება ძირს თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობის, მის უმთავრეს მამოძრავებელ ძალას და საფუძველს; იგი ამას ხელუხლებლათ სტოკებს და უმთავრესად ამ ძველ საფუძველზე აშენებულ მეორე ხარისხოვან მოვლენებს ებრძვის.

მართლაც, ჩვენი დროის ეკონომიკურ ურთიერთობის მთავარი დამახასიათებელი გარემოება ის არის, რომ წარმოება და ალებ-მიცემობა კერძო საკუთრებას წარმოადგენს და მოგება არის იმის უმთავრესი დანიშნულება: წარმოება იქ

ეწყობა და უმთავრესად მეურნეობის იმ დაზეს ემსახურება, სადაც იმას მეტი მოგება მოაქვს მწარმოებლისთვის, პატრონისთვის, და არა იმას, რაც, შეიძლება, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყოს საზოგადოებისთვის. თავისუფლება თანდაყოლილი პირობაა ამ კერძო, ეგრეთ წოდებულ კაპიტალისტურ მეურნეობის, აუცილებელი პირობა მის განვითარებისთვის; და როცა ეს თავისუფლება ვიწროდება, კერძო წარმოება და აღებ-მიცემობა ჰქონდა და კვდება. თუ ამ დროს გასაზოგადოებული მეურნეობა მხად არ არის—სულ ერთია რა მიხედვის გამო—იმის ადგილი დაკიროს, საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება განსაცდელში ვარდება.

გასაგებია, რომ დაგეგმულ მეურნეობას დლევანდველ სახით უწინარეს ყოვლისა აწ არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობის ტრინის მიმცემი, კერძო მწარმოებელი, შეედავა. მის-თვის მიუღებელია სხვისი ჩვენებით წარმოების გაზრდა თუ შემცირება, ნედლი მასალის სხვის მიერ დაწესებულ ზომით შეძენა, მტკიცე ფასები და სხვა ამ გვარი ზომები, „გეგმას“ რომ მოაქვს; ეს კერძო წარმოების და აღებ-მიცემობის ბუნებას ეწინააღმდეგება. ამიტომ იგი ცილინდს «პლანს» გვერდი აუაროს, კანონს არღვევს, საქონელს მაღავს და სპეცულაციას ეწევა. ამ «შეთქმულებაში» მისი თანამოზიარეა საზოგადოების ერთი ნაწილი, ყიდვის საშვალება რომ აქვს, მაგრამ საქონელს ბაზარზე თავისუფლად რომ ვერ პოულობს. ამ «შეთქმულების» გამო პლანის თანდაყოლილ მოვლენათ ხდება უწესოება—«შავი ბაზარი», ხოლო წესად—საქონლის ნაკლებობა სავაჭროებში და ამათ წინ მომხმარებელთა გრძელი კუდები!... ყოველგან, ყველა ქვეყნებში, და ვერსად კანონმა და ადმინისტრაციის უსასტიქეს ზომებმა ამ მოვლენას ბოლო ვერ მოულო.

ამ პირობებში «განკარგულებულმა მეურნეობამ» გამარტივების მაგიერ გაართულა ეკონომიკური ურთიერთობა. ასე პლანის დაწესებამ სახალხო მეურნეობის ერთ დაზეში გამოიწვია პლანი მეორე დარღვი, მერე მესამეში, შემდეგ მეოთხეში, მეხუთეში, დაიგეგმა მთელი წარმოება, მთელი აღებ-მიცემობა, საშინაო და საგარეო კურობა. კრედიტი; ქალადის ფულიც კისაქონლის გაცვლა-გამოცვლის უბრალო იარაღიდან პლანმა და «განკარგულებამ» დამოუკიდებელ ლირგულებათ გადააქცია. იძულებითი კურსის წყალობით. ამ კურსს ქვეყნის მმართველნი თვითნებობით სცვლიან და მით ლირებულებათ ერთგვარ წონასწორობაზე დამყარებულს ეკონომიკურ ურთიერთობას, როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო აღებ-მიცემობაში, ყირამალა აყენებენ; გავისენოთ, მაგალითად, წარსულ შემოდგომაზე ინგლისის მთავრობის მიერ გირვანება სტერლინგის კურსის უცად შეცვლა და მით სხვადასხვა ქვეყანაში გამოწვეული სამართლიანი თუ უსამართლო უკმაყოფილება.

ეს კიდევ არაფერი. სახალხო მეურნეობის ზევიდან განკარგულებებით დაგვეგმვა გადამდებ სენიცით მოედა მთელ ქვეყნის ერებას და ყველამ თავისი საკუთარი «გეგმა» შეადგინა; დიდი თუ პატარა სახელმწიფო, ყველა, თავის საკუთარ სახლერებში მაგრათ ჩაიკეტა და ურთიერთ შეთანხმების და საერთო ზომების გამონახვის მაგიერ საკუთარ, დამოუკიდებელ გზით სიარული მოინდომა. ამნაირად, თუ წინად, როგორც შინაურს, ისე საერთაშორისო წარმოებას და ალებ-მიცემობას ერთი საყოველთაო კანონი აწესრიგებდა—კანონი მოთხოვნილების და მიწოდების—ახლა თითქმის იმდენი ერთი მეორის საწინააღმდეგო კანონი გამოჩნდა, რამდენი სახელმწიფო არსებობს დედა-მიწაზე. მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ყველა ეს კანონი მხოლოდ საკუთარ ქვეყნის თითქოს სარგებლობის შეხედულებით ხელმძღვანელობს და სხვა გარეშე ამისა არსებულ პირობებს ივიწყებს; მაგალითად, ყველა იმის ცდაშია, რომ მეტი საქონელი გაორანს უცხოეთში, მეტი გაყიდოს და ნაკლები შეიძინოს; არაერთ კითხულობს, თუ როთი უნდა შეიძინოს სხვამ სხვისი საქონელი, რა საშვალებით, თუ მისგან სამაგიეროთ არაფერს იყიდანა? დაირღვა ალებ-მიცემობის სულ უბრალო, ელემენტარული პირობები.

«პლანმა» დანიშნულებას ომ მიაწიოს, ამისთვის საჭიროა ზედმიწევნით ალრიცხვა, როგორც ნაწარმოების, ისე მოთხოვნილების, რაოდნობის, ხარისხის და მყიდველის გემოვნების. ეს თითქმის შეუძლებელია: იგი ბევრ დროს მოითხოვს და საგრძნობ ხარჯებს, საქონლის განაწილება ნელდება და მისი ფასები ძალიან შატულობს.

«პლანმა» მოსპონ თავისუფალი კონკურენციაც კერძო მწარმოებელთა და გამყიდველთა შორის, და სახელმწიფოთა შორისაც, რაც არსებობდა და კითარდებოდა საქონლის ფასების, ხარისხის და რაოდნობის ნიადაგზე და მათი ბუნებრივი მოწესრიგებელი რომ იყო. ეს უძლიერესი იარაღი მოხმარებლის ინტერესების დასაცავათ, ახლანდელ ეკონომიკურ პირობებში, «პლანმა» საზოგადოებას ხელიდან გაადგებინა, სამაგიერო იარაღი კი მას კერ მისცა.

დასასრულ, «პლანმა» გაართულა ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლის საქმე, როგორც შინ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, აუარებელ კანონების, განკარგულებების, მიწერ-მოწერის და ამის ხელმძღვანელ დაწესებულებების გამრავლებით. ამ საქმის წარმოება და მის მიერ გამოწვეული ხარჯები სახელმწიფოს ძეირათ დაუჯდა, გაამრავლა და გააბატონა მოხელეები; იმატა გადასახადება, საზოგადოების მყიდველობითი ძალა შესუსტდა.

ყველა ამ მიზნების გამო, საზოგადოება, თითქმის ყველგან, ურიგდება «დაგეგმულ მეურნეობას», როგორც ბეგარას გარდამავალ მდგომარეობის გადასატანათ და ყოველგან

ამხედრებულია იმის წინააღმდეგ, როცა ცხოვრების ცოტად თუ ბევრად ნორმალური პირობები დგება.

საქმის ასე წასკლას ბევრი დემოკრატიის. კერძოთ სოციალისტების, ეკონომიურ პოლიტიკას აბრალ გბს, რადგან დემოკრატები და სოციალისტები მოხვდენ იმის შემდეგ მთავრობის სათავეში და ევროპის ქვეყნებს უმეტეს შემთხვევაში ახლა ისინი განაცხენ. ეს ბრალდება არ არის საფუძვლიანი. სინამდვილე იმას გვეუბნება, რომ ყველა სახელმწიფო — დავაწყობთ იმათ პოლიტიკურ გეოგრაფიის მიხედვით «მარჯნით» თუ «მარცნით» — მიმართავდა ცოტად თუ ბევრად, ამ უკანასკნელ დროს, იძულებითი ზე მებს სისილო მეურნეობაში. იმის «გეგმით» წაყვნას, იმის ძალით მოწერიებებას, განსაკუთრებით არაჩვეულებრივ და გარდამავალ პირობებში, კერძოთ იმის დროს.

ჯერ კიდევ პირველი დიდი ომის დროს ამ წესმა შეაძლებინა გერმანიას.—სხვა ქვეყნებზე უწინ აქ განვითარდა იმ დროს და აქ უფრო დართო ხასიათი მიიღო სახელ მწიდარი ჩარევამ სახალხო მეურნეობაში.—ოთხი წლის განმავლობაში წარმოება უსასტიკესი იმის. ამ იმის შემდეგ ბევრი სახელმწიფო სხვადასხვა გარემოების გამო მიმართავდა ხო დ მე ამ ზომას; მაგალითისთვის—სხვა ქვეყნებს და კერძოთ ამერიკის შეერთებულ-შტატების ცნობილ ზომებს, კორელ წოდებულ New-Deal-ის, თავი რომ გავანებოთ—შეგვიძლია გავიხსენოთ საფრანგეთი. სადაც კანონი წარმოების მოწესრიგებისთვის ხელისუფლების განკარგულებით მიღებული იყო, პირველად იმ იმის შემდეგ, 1931 წ. 4 ივნისს და იგი შევენახეობა-მეღვინეობას შეეხებოდა. აკრძალულ იქმნი კანონით ერთი მემამულის მიერ და ერთდროულად 400 ჰექტოლიტრზე მეტი ლიტრის ბაზარზე გამოტანა; მევნენახე იძულებული გახდა ლიტრის მოსაცვლის ერთი ნაწილი სპირტით გადააკეთოს; აკრძალა კერძო შესაკუთრეს ახალი ვაზის გაშენება, თუ იმას 10 ჰეკტარზე მეტი ვენახი ქმნდა და სხვ. პარლამენტის პოლიტიკური შემადგენლობა ამ დროს საფრანგეთში ზომიერი იყო და ამ კანონის შემოღება პოლიტიკურათ „ზომიერზე უფრო ზომიერმა“ მთავრობის თავმჯდომარებ (ა. ტარდი) მოითხოვა. ამას მოყვა 1933 წლის 10 ივნისის კანონი ხორბლით ვაჭობის და იმის ფასების მინიმუმის (და არა მაქსიმუმის!) დაწესების შესახებ და კიდევ სხვა კანონები. ასე ხდებოდა სხვაგანაც, მრავალ ქვეყანაში, სადაც სოციალისტები იმ დროს სრულებით არ თამაშობდნენ იმ როლს საკანონმდებლო დაწესებულებებში, რასაც ამ მეორე დიდი ომის შემდეგ.

წინააღმდეგ, იმ დროინდელ საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობის უდიდესი პიროვნება და ცნობილი თეორეტიკოსი კ. კაუცი აფრთხილებდა კიდეც სოციალისტებს არ გარაცებულიყვნელ «დაეგვმულ» მუსტენობით.

«ნუ იმოწმებენ იმ გარემოებას—სწერდა იგი—რომ

«ომის დროს იძულებითი მეურნეობა სასარგებლო იყო და აუცილებელი. ომის შექმნილი მდგომარეობა არ არის ნორმალური მდგომარეობა. სამხედრო მეურნეობა არ იყო მოგების წინააღმდეგი, პირიქით, იგი დიდ მოგებასაც იძლეოდა. უდავოა, რომ იძულებითი მეურნეობიდან თავისუფალ მეურნეობაზე გადასვლა შეუძლებელია ისე, რომ ამან დიდი ზარალი არ მიაყენოს მოსახლეობას; მაგრამ ეს სრულებით არ ამტკიცებს იმას, რომ იძულებითი მეურნეობას, დამყარებულს კერძო მეურნეობის საფუძველზე, უპირატესობა ჰქონდეს თავისუფალ მეურნეობაზე ან რომ იგი საზოგადოთ დასაშეები იყოს უფრო დიდის გადით» (იხ. მისი «პრო-ლეტარული რევოლუციურია და იმის პროგრამა»).

ეკრანის სოციალისტებში ყველაზე უწინ წამოაყენეს «პლანი», როგორც პრაქტიკულ მოქმედების ახლობელი პროგრამა, ბელგიელ სოციალისტებმა (პ. დე-მან), თუმცა შემდეგ თვითონ სხვებზე ნაკლებათ ისარგებლეს იმით.

ჩაც შეეხება „მემარჯვენე“ გერმანიის და იტალიის კანონმდებლობას ამ მხრივ, ამ მეორე დიდი ომის წინ, ხომ სულ ზედმეტია ლაპარაკი; იქ ყველაფერი დაგეგმილი იყო.

ამ მეორე დიდი ომის დროს და იმის შემდეგ, როგორც ვსთქვი ზევით, ხომ ყველამ „დაპლანა“ თავისი სახალხო მეურნეობა და მაგრათ შეკრა იგი მთავრობის განკარგულებებით. ბევრ ქვეყანას ამ ზომამ ახლაც, როგორც პირველ ომის დროს, უსაუთოდ შეუმსუბუქა მდგომარეობა და ბევრი, შეიძლება, ისხსნა კიდეც უფრო საშინელ მდგომარეობიდან. უარისყოფა ამის შეუძლებელია.

მაგრამ საბოლოოდ, ნორმალურ პირობებისთვის, ეს არა-ზეეულებრივ დროისთვის შემოლებული ზომები ახლაც გამოუსადეგარი გამოდგა; მან კერ მოარიგა შეურიგებელი მოვლენები: კერძო საკუთრება წარმოებაზე და იძულებითი ზომები ნაწარმოების განაწილებაში.

ზოგი ფიქრობდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვით და ზევითან განკარგულებებით არსებულ ეკონომიურ წესტყობილების გამაგრებას; ზოგს კი, წინააღმდეგ, ეგონა, რომ ასეთი ზომები სოციალიზმს გვაახლოვებდა. არც ერთის მოლოდინი «პლანმა» არ გაამართლა, რადგან სინამდვილეში სულ საწინააღმდეგო ინტერესები და მოტივები დაეტაკა აქ ერთი მეორეს. ერთის მხრით, როგორც დავინახეთ, «პლანმა» შეავიწროვა არსებულ ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებისთვის ჩვეული და საჭირო საშვალებები: მოსპონსონებურენცია, შებოჭა კერძო ინიციატივა, განსაზღვრა მოგება და კერძო ინტერესები; მეორე მხრით კი, უნაყოფო გამოდგა დამყნა ძეველ ნიადაგზე ახალი იდეების, რომელიც ეკონომიურ ურთიერთობის სულ სხვა საფუძველს მოითხოვენ და, უპირველეს ყოვლისა, კერძო ინტერესების და კერძო მოგების მაგი-

ერ საზოგადო ინტერესებით ხელმძღვანელობას. არც წყობა საზოგადოების, არც—მე ვიტყოდი—საზოგადოების ფსიქოლოგიური განწყობილება და არც ტექნიკური მოწყობილობა საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებების ჯერ-ჯერობით ამისთვის მომხადებული არ აღმოჩნდა.

მდგომარეობა ზღაპრის გზა-ჯვარედინს დაემზადეს: «წახალ ინახებ, არ წახალ მაინც ინახებ!»-ო. სახელმწიფოს, არ შეუძლია ჩვენი დროის გართულებული სახალხო მეურნეობა თავის ნებაზე მიუშვას; მეორე მხრით, იმაში სახელმწიფოს ჩარევამ და ჰევიდან მოცემულ განკარგულებებმა მდგომარეობა, ბევრ შემთხვევაში, იმის მოწესრიგების მაგიერ უფრო გაართულა. აი ერთი იმ სიძნელეთაგან, რომლის სათავე იქ არის, რაზედ ლ. ბლიუში ლაპარაკობდა.

ამ სიძნელეს, რა თქმა უნდა ყველა ამჩნევდა; მაგრამ სანამ ქვეყანა არაჩვეულებრივ პირობებში იმყოფებოდა, არა-ჩვეულებრივი ზომების მოხსნას ვერავინ ბედავდა. ომის დროს ერთად ერთ დანიშნულებას ეწირება ყველაფერი: ომის მოთხოვნილებას. თავისუფლებაც, საზოგადოების კეთილ-დღეობაც და ცალკე პიროვნების კეთილყოფაც ომის სამსხვერპლობედ არის მიტრინილი და ამ დროს ყოველგვარ შევიწროებას ურიဂდება ადამიანი. მაგრამ, როგორც ომი, ისე საომარი მდგომარეობა, მუდამ ვერ გასტანს; ნორმალურ პირობებში მომხმარებელს სურს თვითონ განსაზღვროს თავისი მოთხოვნილება და თავის გემოვნების და საკუთარ რესურსების მიხედვით დაიკავიოთილოს იგი. ამიტომ ათასგარ რეგლამენტაციებით უკმაყოფილოს კერძო მწარმოებელს ახლა უკმაყოფილო მომხმარებელიც ემატება: «პლანი» არავის აღარ აქმაყოფილებს!..

და აი ჩვენ გხედავთ, რომ ომის გათავების შემდეგ, ნელნელა, მრავალ ძების და მრავალ თათბირის შემდეგ და ქვეყნად ნორმალურ პირობების დამყარების მიხედვით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები მაინც იმ დასკვნაზე მიდიან, რომ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის არსებულ პირობებში აუცილებელია, რათა ეკონომიურ საქმიანობას არტახები მოეშვას და საქონლისა და კაპიტალის ტრიალს საზოგადოებაში და მათი ქვეყნებს შორის გადანაწილებას კელად თავისუფლება მიეცეს. თუნდაც ჯერ-ჯერობით ნაწილობრივათ. ასე, მოიხსნა თითქმის ყოველგან სახელმწიფოს შიგნით საქონლის და სხვაგვარ ლირებულებათ თავისუფლად ტრიალის დამაბრკოლებელი წესები; შემდეგ, ნელნელა, ასე ვსთქვათ, მორცხვათ და გაუბედავათ, იღება ერთა შორის ჩაკეტილი კარებიც. ამ გზას ჯერ პატარა სახელმწიფოები დაადგენ, რადგან მათთვისაა უმთავრესად დამღუპებული ყოველგვარი კარჩაკეტილობა და ყოველგვარი აეტარებია: ერთის მხრით მეთანხმდენ ბელგია, პოლანდია და ლიუქსემბურგი («Benelux»), მეორე მხრით—დანია, შვეცია

და ნორვეგია; შემდეგ, ბელგია-შვეიცარია. მხადარება ნიადა-
 გი აღებ-მიცემობის დამაბრკოლებელ პირობების მოსახსნე-
 ლად საფრანგეთ-იტალია-Benelux-ის შორის («Finebel»), ერ-
 თის მხრით, და ინგლისისა და სკანდინავიის ქვეყნებს შორის,
 მეორე მხრით («Uniscan»).

1949 წლის 2 ნოემბერს «ევროპის ორგანიზაციამ ეკონო-
 მიურ თანამშრომლობისთვის» (O. E. C. O.)—იგი აერთებს და-
 სავლეთ ევროპის თვრამეტ დიდია და პატარა სახელმწი-
 ფოს—პირველი დადგენილება მიიღო: გაუქმებულ იქმნას შე-
 ზღუდვა საქონლის შემოტანისა კერძო აღებ-მიცემობისთვის,
 ამ «ორგანიზაციის» წევრ სახელმწიფოთა შორის, 50 პრო-
 ცენტით.

ვნახოთ, რა შედეგები მოყვება ყველა ამ მოლაპარაკე-
 ბებს და შეთანხმებებს: საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრე-
 ბას მეტი ქაოსი მოიცავს თუ, სადაც მოშვებული, სახალხო
 მუსიკობის გაუმჯობესების გზით წავა? და თუ ერთა შორის
 თავისუფალ აღებ-მიცემობის შემავიწროებელ პირობების
 მოსპობა და სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიური გაერთიანება-
 რეუიონალურათ (კუთხობრივათ) სასარგებლობა, მით უფრო
 სასარგებლო არ უნდა იქმნეს მოწყობა თავისუფალ ეკონო-
 მიურ ურთიერთობისა მსოფლიოს მასტაბით?

ყოველ შემთხვევაში, ნოემბრის შეთანხმებით პირველი
 ნაბიჯი გადადგმულია და ის არის საგულისხმო, სხვათა შო-
 რის, რომ ამ ნაბიჯის ერთი ინიციატორთაგანი იყო არა სხვა
 ვინმე, არამედ სოციალისტი. ინგლისის სოციალისტურ მთა-
 ვრობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ბ. სტაფორდ კრიპს,
 ცნობილი. როგორც დიდი მომჩრე დაგეგმულ მუსიკობის
 და ეკონომიურ დისკიპლინისა. მისი აზრი გაიზიარეს საფრა-
 ნგეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა, აგრედავ სავ-
 სებით თუ ნაწილობრივ სოციალისტურ მთავრობებს რომ
 ეკუთვნიან.

ეს უსათუოდ ცდა არის უკან დახევისა, საერთაშორისო
 მასტაბით. «დაგეგმულ» და «განაკარგულებულ» მუსიკობის
 გზაზე; ხოლო ცდა არის არა პრინციპიალურათ უარისყოფის
 სახალხო მუსიკობის გეგმით წაყვანის. არამედ აღიარება
 იმის, რომ ჯერ ჯერობით და ახლ-ცდელ ეკონომიურ ურთი-
 ერთობის საფუძველზე სახალხო მუსიკობის იძულებითი
 გეგმით წაყვანა ხშირად ვერ აღწევს დანიშნულებას. ეს არ
 ნიშნავს, რასაკვირველია, ძველებულ ლიბერალიზმის გზაზე
 დადგომას და იმ ეკონომიურ პოლიტიკის აღდგნას. ლიტე-
 რატურაში laisser-faire, laisser passer-ს რომ უწოდეთ
 ვის რა უნდა იგი ქნა!... ეს გზა ახლა ყოველგან უკუგდებუ-
 ლია და რა უკიდურესობის შორის სახელმწიფო მოღვაწენი
 ახლა რამე საშუალო მიმართულების ძიებაში არიან.

დემოკრატიის ლიტერატურა ეს არის: პრინციპების რეალურ
 პირობებთან, სინამდვილესთან, შეგუება. რეალურ პირობე-

ბის უარისყოფამ მოსწყვეტა ტოტალიტარული სახელმწიფო ფორმი დანარჩენ ქვეყნებს, დააყენა ისინი ძალდატანების, ტირანიის, გზაზე და ცხოვრება იქ აუტანელი გახადა საზოგადოების უმრავლესობისთვის; სახალხო მეურნეობის მოწყების გებება კი ჩაეყეტილ კარებში და ზევიდან ნაბრძანებ განკარგულებებით მაინც მოუხერხებელი დარჩა.

ახალ პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლათ ახალი პირობებია საჭირო, ახალი ნიადაგის მომზადება. ეს ჭეშმარიტება ასე გამოსთქვა ამ ორი ათასი წლის წინადან ახალი აღთქმის უბრალო, მაგრამ ლვთაებრივი, სიტყვით ქვეყნად მომტანება:

«არავინ შთაასხის ლვინო ახალი თხიერთა ძველთა, რათა არა განპეტეთქნეს ლვინომან ახალმან თხიერნი იგი, და ლვინო დაითხიოს, და თხიერნი წარსწყმდენ; არამედ ლვინო ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან»-ო.

«ძველის» და «ახალის» წინააღმდეგობაში არის დასაბამი ჩვენი დროის მრავალგვარ სატკივარისაც. საქმე ის კი არ არის, რომ «ახალი» სიტყვა ითქვას და «ახალი» ზომები იყოს მიღებული, არამედ ის, რომ ამ «ახალ» სიტყვას და ზომებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგი უნდა ეთვისებოდეს: ცხოვრებას თავისი გააქვს.

ბ. ბ.

ს ა ბ ჰ ჰ ი ლ თ ა ს ა ხ ე ლ მ ჯ ი ფ ი ღ .

2.

პირველ წერილში ჩვენ დავახასიათეთ საბჭოთა სახელმწიფო და მიუჩინეთ მისი აღგილი ისტორიაში. ახლა საჭიროა ვიცოდეთ მისი არა მარტო პლლიტიკური თვისებები, არამედ აგრეთვე მისი შინაგანი წყობა, მისი ბატონობის საშუალებანი და კადრები.

საბჭოთა მთავრობა ბატონობს იმ ჯგუფების საშუალებით, რომელიც დაქირავებულია მის მიერ, გაიხადეს. მის ყურმოჭრილ მონაცემთა და აცხოვრებენ ხალხის ხარჯზე. ამათი რაოდენობა და ხელობა მოყვანილია 1939 წ. გამოცემულ ოფიციალურ წიგნში, რასაც ეწოდება: სტატისტიკა სახელმწიფო პლანის (სტატისტიკა გოსპლანი), საიდანაც მოვიყვათ შემდეგ ცნობებს.

ყველა მოხელენი, ე. ი. ის პირები ვინც ცხოვრობენ მთავრობის ჯამაგირით შეადგენენ:

25 პროცენტი ეკონომიკურ დარგებში მოსამსახურენი, რიცხვით 2.440.000;

18 პროცენტი, საწარმოვი დაწესებულებათა მეთაური, რიცხვით 750.000;

16 პროცენტი, მილიცია, გეპეუს და პროკურატურის შევრები, 1.600.000 სული;

13 პროც. ტექნიკური შემადგენლობა—ინჟინერი, აგრო-ნომი, ტექნიკები და სხ. სულ—1.240.000;

11 პროც. პროფესორები, სამუალო და დაბალი სასწავ-ლებლების მასწავლებელნი და სხ. 1.050.000;

5 პროც. საექიმო შემადგენლობა და 4 პროც. კულტუ-რულ დარგებში მომუშავენ 460.000.

მთელი მოსამსახურე ინტელიგენცია შეიცავს 9.600.000 სულს.

ამაში არ შედის სამინისტროების და უმაღლესი დაწე-სებულებათა აპარატების მოსამსახურენი, რაიცა დაახლოევე-ბით უნდა ვინგარიშოთ მილიონ სულამდე. ასე რომ დღევან-დელ საბჭოთა იმპერიაში, სადაც ირიცხება მცხოვრებთა რიცხვი 135 მილიონი, წარმოებს ხალხის უდიდესი უარცვა-გლეჯა მრავალრიცხვან ბიუროკრატიის სარჩენათ.

სოციალიზმი სახელმწიფოს უცქერის, როგორც დროე-ბით მოვლენას, რაიცა თავისთავათ გაქრება სოციალისტურ განვითარების ხაზშე. ფაშიზმი კი პირიქით, აღმერთებდა სა-ხელმწიფოს, ცნობილია მუსოლინის შეხედულება ამ საკითხ-ზე, რაიცა მან გამოთქვა 1917 წ. «იტალიანურ ენციკლოპე-დიაში» ამნაირათ: «ყოველივე სახელმწიფოშია, არაფერი ადა-მიანური ანუ სულიერი მის გარეშე არ არსებობსო», ეს დებუ-ლება გახდა ძირითად მოძღვრებათ ფაშიზმის, ნაწინშის და ბოლოს ბოლშევიზმის. საბჭოთა ყველა გამოცემა ამ აზრს ატარებს სახელმწიფოს შესახებ და ასწავლიან ახალ თაობას. საბჭოთა ბიუროკრატია აწევს უდიდეს ტეირთათ მთელ მშრომელ ხალხს. თუ ოჯახში ვინგარიშებთ ოთხ სულს, გამოვა რომ საბჭოთა საბრძანებელში ცხოვრობს 44 მილიო-ნი ოჯახი. ამას თუ გამოვაკლებთ მოხელეთა ოჯახს, დაას-ლოვებით 11 მილიონს, გამოვა რომ 33 მილიონი მშრომელთა ოჯახი არჩენს ამ თერთმეტ მილიონ ოჯახს, ე. ი. არ ოჯახ ხახევარი არჩენს ერთ ოჯახს.

ამასე უფრო მძიმე ბევრადა წარმოუდგენელია, ასეთი ხარკი ისტორიაში არ იცის.

6. ქ.

ზესილი საძარღვალო დანართი 2026.

ესარგებლობ შემთხვევით და გიგზავნით ამ პატარა წერილს.

ბოლშევიკური დიქტატურის რეჟიმით, მისი დესპოტიური წყობილების მეობებით ჩვენი ერის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება: დაკერა, გადასახლება, კონცლაგერები, იზოლიატორები პროგრესიულათ იზრდება და ფიზიკურ დიდ ტანჯვას სულიერი გაორკეცებული ტანჯვაც ემატება.

წარმოიდგინეთ ის ერი, რომელსაც აქვს მრავალ საუკუნის ისტორია. ზენ-ჩვეულებები, გამომუშავებული თავისი ისტორიის საფეხურების განვითარებისდა მიხედვით, შეფარდებული თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებთან, ყველა ეს დღეს გაქრა და ბოლშევიკურმა რეჟიმმა არაბუნებრივათ გაუთანაბრა სამოედებს, ტუნგუჩებს და ესკიმოსების ფიზიურ, მორალურ და სულიერ თვისებებს. ეს იმდენათ მძიმე შეიქნა. რომ ჩვენი ერის სულს ლრნა დაუწყო, მის აწმყოს და მომავალს სათანადო დალიც დაასვა.

ყველა ფერი ის, რაც შექმნა ჩვენმა ერმა მრავალ საუკუნეთა მანძილზე, შეინარჩუნა უამრავ მტრებთან ბრძოლაში თავისი წმინდა სისხლის დალვრით, სტალინის მიერ გამოგზავნილ ჩეკისტების ჩექმის ქვეშ გაითხლა და უჩვეულო სიმძიმით მშრომელ ხალხს კისერზე დააწვა.

ქართველ გლეხს კოლექტიურმა სისტემამ წაართვა თავისი კერა; ის იძულებული შეიქნა შესულიყო კოლექტივში, სადაც მან უნდა გააკეთოს, რაც მის სულს და გულს არ აქმაყოფილებს. მიწის ხარისხის მიხედვით საქართველო დაყოფილია სამ რაიონთა და კოლმეურნის განკარგულებაშია პირველი კატეგორიის რაიონში ერთი მეოთხედი ჰექტარი მიწა; მეორე კატეგორიისაში ნახევარი ჰექტარი და მესამე კატეგორიისაში კი—ერთი ჰექტარი; გარდა ამისა კოლმეურნის უფლება აქვს იყოლითს ერთი ძროხა, ერთი ღორი, ერთი თხა, რამდენიც უნდა ძალია, კატა და მონური შრომა. კოლმეურნე იძულებულია წელიწადში გამოიმუშაოს 200 შრომა დღე; წინააღმდეგ შემთხვევაში ექვსი თვის იძულებითი მუშაობას ის ვერ ასცდება. კოლმეურნე დღეში იღებს ერთ კილო სიმინდს, ორმანეთნახევარ ფულს, ორმოცდათ გრამ ყველს; მეთამბაქოების რაიონში სამს ან ოთხ კილო თამბაქოს და მეღვინეობის რაიონში კი ორმოცდან-ორმოცდათ ლიტრა ლიტრის წელიწადში. აი რისთვის შრომობს ჩვენი გლეხი! მას არა აქვს

უფლება გააცდინოს ერთი დღეც თავის საჭიროების მოსა-
 გვარებლათ; ამისთვის შეებულების ქალალი მას უნდა ქონ-
 დეს; იგი ვერც ქორწილში და ვერც ტირილში წავა. თუ მას
 ჯიბები წებართვა არ უძვეს, ეს არის კონტროლის ერთგვარი
 სახე ალსანიშნავათ იმისა, თუ ვინ, სად დადის. რას აკეთებს,
 ვის ნახულობს, ან რამდენჯელ. აი სტალინის მიერ შეემნილი
 სოციალური საზოგადოება, რომელიც ჩვენს ხალხს სულს
 უხუთავს და გულს ულრონის. გლეხის მდგომარეობა აუტა-
 ნელია, მაგრამ შიშით ვერაფერს ამბობს; თუ რომელიმე გლე-
 ხი გენდობა, ის ჩქარა გაგიხსნის გულს და აშკარათ საყვე-
 დურს გამოსთქვამს ჯოჯონეთური რეეიმის წინააღმდეგ. მაგ-
 რამ ის ცდილობს, სხვასთან დაუსწრებლათ, მარტო პირის-
 პირ გელაპარაკოს, რადგან მეორის იმედი არა აქვს, ეშინია,
 ვაი, თუ გამცესო... თუ მარტო ხართ, პარტიულსაც შეგი-
 ძლიათ გაუხსნათ გული. თუ თქვენ ის გიცნობს. და გეხდო-
 ბათ...

აუტანელია ჩვენი მუშების მდგომარეობაც. მათ ჩვეული
 კერა დაკარგეს, რეეიმმა ისინიც მიამაგრა ქარხნის კედლებს
 და განიცდიან უმოწყალ ო გაყვლეფას ყოველი მხრიდან; შეე-
 ბულების ქალალი აქაც ძალაშია, უმისოთ მუშა ფეხს ვერ
 გადადგამს; ხუთი წუთით დაგვინების გამო კარგავს უფლე-
 ბას ექვსი თვეთ შრომის ანაზღაურებისა. ჯამაგირი მინრმა-
 ლურია: 200—650 მანეთამდე, რითაც ბევრი არაფრის ყიდვა
 შეიძლება; მონური მუშაობა სანარდო სისტემაზეა აგებული.
 სახვავე ძალიან ძვირია პური. ტალახის მხგავსი. კილოგრა-
 მი ლირს სამი მანეთი და სამოცდათუთხმეტი კაპეიკი; საშუა-
 ლო ხარისხის პური. რითაც დღეს კაცობრიობის უმეტესი
 ნაწილი იკვებება, ლირს კილო ცხრა მანეთი, ხოლო თეთრი
 პური თოთხმეტი მანეთი; ცველი 50-დან 60 მანეთამდე; ზაქა-
 რის, კარაქის და ზედის ყიდვა დიდი რიგების გარეშე შეუ-
 ძლებელია, ხოლო ფეხსაცმელის ფასი 400 მანეთამდე ადის;
 უბრალო «კოსტიუმი» კი 1.500—2.000 მან. მოსამსახურეც და-
 ახლოებით იმავე მდგომარეობაშია, რადგანაც ჯამაგირი აქაც
 ძლიერ ცოტა 375—850 მანეთამდეა. ხუთი წუთით დაგვიანება
 აქაც ძალაშია და გამომდინარე რეპრესიები უცვლელია, შეე-
 ბულების ქალალი სავალდებულოა და აღგილის გამოცელა
 შეუძლებელი. მშრომელი ხალხის ამ მცირე ჯამაგირს ემატე-
 ბა კიდევ გადასახადებები: სასოფლო, სამეურნეო, კულტუ-
 რული გამოსალები, ერთდროული დაბეგვრა, თვითდაბეგვრა,
 საამშენებლო გადასახადი, ხორცის დაბადება, რემედასი,
 წითელი ჯვარი და ობლიგაციები, რაც მუშათა კლასს უჯდე-
 ბა ორი თვეს ხელფასი წლიურათ. ამრიგათ, მშრომელი მუ-
 შაობს მხოლოდ იმისთვის, რომ ის იძულებულია რეეიმის
 მიერ და არა იმისთვის. რომ თავისი მოთხოვნილება დაიკმა-
 ყოფილოს.

რეეიმი თანდათან მქაცრდება, ქვეყანა გადაიქცა კონცენ-

ტრაციულ ლაგერათ. საქართველოდან დაიწყეს რაიონობით გადასახლება. დაკარგეთ ჩვენი ერთს ერთ-ერთი უძველესი ტომი — მესხები. ისინი დღეს ციმბირის სხვადასხვა ლაგერებში ლევენ სულ და მთელი ქობლიანის რაიონი გახდა უსახლკაროთ დარჩენილ სტალინგრადელთა და დემობილიზაციის ნაწილების სათარებოთ.

ჩვენში დღეს მუნებრივი კლასები მოისპონ და მისი ადგილი დაიჭირა სტალინის მიერ შექმნილმა არაბუნებრივ ურთიერთობამ. ერთ მხარეზეა პარტიული პრივილეგიური კლასი გეპეუს ატრიბუტებით და სახლვრის დამცველი ჯარის ერთეულები, მეორეზე კი — მონად ქცეული მშრომელი ხალხი. პირველი ძლიერია. მის განკარგულებაშია კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ნახული დიქტატურა თავისი ტირანიით და მეორის კი — მონური შრომა კონცლაგერებით და იზოლიატორებით. ხშირად ხალხში, ზოშის ქვეშ, აშკარა გაკვირვებას გამოთქვამენ, რომ ამ საშინელ რეკომენდაციის მიმდევრები დასაცლეთში და დღემდის ვერ გაუგიათ — ბოლშევიზმს არაფერი აქვს საერთო არც კომუნიზმთან და არც სოციალიზმთან, ნუთუ მათთვის საკმარისი არ არის აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტების ბელადების ბედი და კარდინალ ვინცენტის მწარე ხვედრი რომ გაიგონ ბოლშევიზმის ნამდგილი სახე. ჩვენში ხალხმა დიდ ხანია გაიგონ, ბოლშევიზმი გადამდები სენის მიერობია კომუნიზმი — ამოფარებული და მარქსიზმის ყალბი ეტიკეტით გასაღებული...

დღეს საქართველო გაძარცულია. საუკეთესო ხარისხის პროდუქტები გააქვთ მოსკოვის ბაზარზე და იქ იყიდება უფრო იაფათ, ვიდრე საქართველოში. გააქვთ ასიათასობით ტონა მარგანეცი. ქვანაბშირი, ნავთი, დიატომიტი, მარმარილო, ბაზალტი, ასკანიტი, დარიშხანი, თამბაქო, ლვინო, აბრეუშუმი, ხე-ტყე, ცირტულები, ჩიი და ხილი, ერთისიტყვით, გააქვთ ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლება.

საქართველო დღეს მგლოვიარე, იშვიათად ნახავთ ოჯახს, რომ მას ამში ვინგე არ დაეკარგოს. ტყვეთ ჩაგარდნილნი, რომლებიც იძულებით უკან დაბრუნდენ, ყველა ციმბირშია გაგზავნილი, მაგრამ არავინ იცის რამდენი ხნით. სასწავლებლებში ისევ სამოსწავლო გადასახდებები შემოიდეს; სტუდენტი უმალესი სასწავლებელის დამთავრებისათავე იგზავნება რუსეთის სხვადასხვა კუთხეში სამუშავოთ, თავის ნება-სურველის წინააღმდეგ. გამეფებულია უდიდესი პროტექცია და ხალტურა; გასკრილია ადამიანის ელემენტარული უდიდებები; ის, ვინც არ იშიარებს, რაც სტალინმა გამოიმუშავა, მოღალატეთ არის გამოცხადებული. თქმულება, — ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერიალ, დღეს თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ომის შემდევ რეემი საერთოდ გამჭაცრდა — გადასახლებულთა და დატუსალებულთა ეშალონები ყოველდღე მატუ-

ლობს; საქართველოს ბოლშევიკურ მთავრობას ახლა სათა-
 ვეში ჩაუდგენ სტალინის მიერ გამოჩეკილი ახალი ბარტყე-
 ბი, რომლებმაც მისი ნდობა დაიმსახურეს; ყოველგვარი კავ-
 შირი უცხოელთან, ან უცხოეთთან, აქრძალული და ამის
 დამრღვვევი მოქალაქე ისჯება როგორც «შპიონი». ასეთი
 საქმეები ხშირად დახვრეტითაც თავდება.

ამჟამათ დიდი აგიტაცია მიმართულია დასავლეთის წი-
 ნაალმდევ უფრო მკაცრათ, ვიდრე წინეთი იყო. სტალინიც აშ-
 კარათ ალიარებს «საშიშროებას», თითქოს დასავლეთი ამზა-
 დებს თავდასხმას მსოფლიოში «ყველაზე დემოკრატიულ,
 ყველაზე სოციალისტურ» სახელმწიფოს. ამისთვის სტალი-
 ნი რას არ აქვთებს, რას არ თხზავს და რა ნაწილებს არ ჩეკაეს
 მისი კრუხი, რომ მომავალი ომი დასავლეთის დემოკრატიას
 დააბრალოს და თავი მშვიდობიანობის ანგელოზათ გამოაც-
 ხადოს. მაგრამ თვითონ კი გაფაციურებით ემზადება ომისთვის.
 დღეს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, წარმოების ყველა
 დარგში და სამხედრო ერთეულებშიაც ყველგან ნახავთ გერ-
 მანელ სპეციალისტებს, რომლებსაც სტალინი იყენებს განსა-
 ზღვრულ დრომდე და შემდეგ კი ისტუმრებს იქით, საიდანაც
 ჯერ არავინ დაბრუნებულა.

საქართველო, ეს პატარა ქვეყანა, ამჟამათ გავსებულია
 სამხედრო ერთგულებით, პატობლანებით და ყოველგვარი
 სამხედრო მასალით. სამხედრო ერთეულების დიდი ნაწილი
 დაბინავებულია ბათომის ოლქში, გაგრის ოლქში, ქუთაისში,
 გორში, ხაშურში, ვაზიანში, თელავში და მანგლისში. გარდა
 ამისა სპეციალური ნაწილები დგას ახალ-ციხე—ახალ-ქალა-
 ქის ყოფილ მაზრებში. ამას გარდა ქუთაისშია სააგიაციო,
 სააკრომობილო და განის ქარხნები; ზესტაფონში კი—ფერო-
 მარგანეცის და ფერო-მოლიბდენის ქარხანა; თბილისში—სა-
 აეიაციო, დაწევათა ალმშენებელი, ლითონის კონსტრუქციის
 და სხვა ქარხნები და 24 საათის განმავლობაში შეუძლიათ
 გამოუშვან სამხედრო იარაღები. ენგურის ქალად-ცელუ-
 ლოიდის ქარხანას შეუძლია დიდი რაოდენობით გამოუშვას
 მდეოთქავი ნივთიერებანი და რუსთავის მეტალურგიული კომ-
 ბინატი თავისი ჩამომსხმელი და ლითონის კონსტრუქციის
 ცენტრით.

სიმაგრეების და პატობროლომების შენება ცივებ ცხელე-
 ბადაა გადაქცეული. კარგად მოწყობილია ქუთაისის, მერიის
 მიწის ქვეშა, ხაშურის და ვაზიანის პატობროლომები თავისი
 სამოსწავლო ბაზებით. დიდი მუშაობა ჩატარდა პალიასტო-
 მის ტბის სამხედრო-სანაოსნო ბაზად გადაქცევისათვის მდი-
 ნარე კაპარჭინის გაჭრით და გალრმავებით. გარდა ამისა დიდი
 მუშაობაა რაჭაში დარი შხანის ექსპლუატაციისათვის და გა-
 ფაციურებით წარმოებს მუშაობა ასაფერებელი იმუშაობის
 მიწის ამოსალებათ ახალციხის რაიონში, რომლებიც სამ-
 ხედრო სამინისტროს განკარგულებაშია.

თუ შეეგადარებთ საქართველოს პატარა ტერიტორიას ვებერთელა რუსეთისას, ადვილად დავინახავთ დღევანდველი რუსეთის სამხედრო პოტენციალს. ორასი მილიონი მონით, ნახევარი გერმანიით და მისი აღმოსავლეთი ნაწილის სამხედრო ქარხნებით, გერმანელი სპეციალისტები და იმ იარაღებით, რასაც გერმანია ამზადებდა თავის ქარხნებში სულ უკანასკნელ წუთამდე კიდევ, ამასთანავე აღმოსავლეთ ევროპის ქარხნები, ატომიური ბომბი და გაწილებული ჩინეთი, კველა ეს აუცილებლათ დიდი ძალაა. მაგრამ იმედით საესე ვართ, ვიცით, ხიშტზე დაყრდნობილი დიქტატურა დაიმსხვრევა, დაიმსხვრევა არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ის არ გვსურს, არც გვიყვარს, არამედ ეს ისტორიული აუცილებლობით მოხდება. სულის შემხუთავ მძიმე რეპრესიების მიუხედავათ ქართველი ხალხი კვლავინდებურათ შეკავშირებულია, მას სწამს თავისი მომავალი და იცის, რომ არაბუნებრივათ მაისი შეიცვალა თებერვლის სუსტიანი დარით, თებერვალი შეიცვლება მაისის მშვენიერი ფერებით.

იქაური.

ა ჩ ა უ რ ი რ ა მ ი - რ უ მ ე .

ჩეენმა ნაციონალურ მთავრობამ წერილობით მიმართა აქ დაჯგუფებულ ქართველ პოლიტიკურ პარტიებს ალადგინონ ძეველი ომის წინ არსებული ცენტრი ან დაარსონ ახალი მთავრობასან ერთად სამუშაოთ ჩეენი საკითხის ირგვლივ. ორი პარტია—სოციალ-დემოკრატიული და სოც.-ფუდერატიული დასთანხმდენ, ხოლო მესამემ—ნაციონალ-დემოკრატებმა პასუხათ გამოუშეს უურნალი «ივერია», სადაც თავს ესხმიან ჩეენს მთავრობას და მას არ სცნობენ. ასეთი უდიდერი პასუხი არის მხოლოდ განმეორება მათი წინანდელი მოქმედების. 1940 წ. მათ დაარსეს სახელწოდებით «ქართული ევროპიული კომიტეტი», რომლის თავმჯდომარეთ აირჩიეს ლენ. სპ. ჭავჭავაძე, მდინართ ალ. ასათიანი, ხაზინადართ სხირტლაძე და თან დაბეჭდეს სამს ენაზე ბიულეტენი მიმართული ჩეენი ნაციონალური მთავრობის, საქართველოს ამ ერთად-ერთი ლეგალური წარმომადგენელის წინააღმდეგ. აქ ისინი უარსყოფენ მთავრობას არსებობას და თან იმოწმებენ ყოფილ იუსტიციის მინისტრს.

ეს ორგანიზაცია ჩქარა გაქრა, არავითარი მუშაობა არ გაუწევია, არავითარი კვალი არ დაუტოვებია; ორი წლის შემდეგ 1942 წ. იმავე პირებმა დაარსეს ბერლინში ქართული

კომიტეტი და გამოუშვევს წიგნები «ჩენი ბრძოლის მიზანი», რასაც არავითარი გამოხმაურება არც ერთ პარტიაში. არც საქართველოში არ გამოუშვევია. და აი «მუშაობის» ეს ხაზი იქნა ახლაც აღდგენილი; ახლაც გამოყენები შებრძოლ მომუშავე ორგანოებს და აავსეს თავისი გამოცემა თავსდასწით ჩენებზე, ვითომ საქართველოს გარეშე მტერი არ ყავდეს. მათ სურთ ცენტრი «თვით პატრონი და სუვერენი», ვიქებით პოლიტიკური მუშაობის მეთაურნი და ხელმძღვანელნიო. ერთი-სიტყვით, მათი მიზანია მოშალონ ნაციონალური მთავრობა და მისი აღაგი თვითონ დაიკავონ, აღ. ასათიანის ძველი გზა აღდგენილია. ასეთი რამე-რუმეებით სავსეა მათი უურნალი ივერია.

ამათ შორის ერთი ვილაცა უვიცი ნ. ქორდანიას აბრა-ლებს ბოლშევიკობას იმის გამო, რომ ის იცავს მარქისიზმს. მას დლევანდლამდის ვერ გაუგია, რაც ქვეყანამ იცის, ბოლ-შევიზმს არავითარი კავშირი არ აქვს მარქისის მოძღვრებასან. «ივერიიელთა» დროშა ოჩება ის. რაც იყო თავიდანვე—ბრძოლა ქართველ სოც.-დემოკრატიასან და არა საბჭოობოთან. ამ მიზნით იგონებენ მრავალნაირ ჭორებს. მაგ. ექვთიმე თაყაი-შვილის დაბრუნება საქართველოში გამოცხადებულია დიდ ბოროტებათ. ნამდვილათ კი ეს იყო დიდი საქმის გაკეთება-ქართველი ერისათვის, თუ სახეში მივიღებთ იმას, რაც თან წაიღო.

ბატონ ექვთიმეს არავითარი მანდატი არ წამოულია სა-ქართველოდან გარდა ერთისა: წამოილს და გადაარჩინოს საქართველოს უძველესი ნაციონალური განძი. ეს სიმდიდრე აქ იყო ჩინებულათ შენახული დიდხანს. ბოლოს საფრანგეთის მთავრობამ გაუკეთა კონფისკაცია და გადარიცხა თავის სა-კუთრებათ რუსეთის მიერ წალებულ ვალში. როცა იმი გათავდა და დეკოლი წავიდა მოსკოვში ხელშეკრულობის დასადებათ, ჩენება მთავრობამ ისარგებლა ამ მომენტით და მი-იღო ზომები სიმდიდრის დასაბრუნებლათ. ამ ზომებმა გას-ჭრა, ექვთიმეგ მიიღო მთელი ქონება და წაიღო, რამაც გამოიწვია დიდი სიხარული მთელ საქართველოში. «ივერიელ თა-თვის» ეს ყოფილა დიდი დანაშაულობა, რადგან მათი აზრით, საქართველო არსებობს არა საქართველოში, არამედ იქ, სა-დაც თვითონ ცხოვრობენ. ასეთი მიდებ-მოდებით და ბეჭ-ტურით სავსეა მათი უურნალი.

იმისა—

ს ა ძ ა რ თ ვ ლ ლ ი დ ა რ უ ს ე თ ი.

(მიუნჩენის ქართველთა საზ-ში წაკითხული მღწესენებიდან)

აქამდის ამა თუ იმ ხალხის კულტურული დონეს მაჩვენებელი იყო, სხვათა შორის, მის მიერ ქრისტიანობის მიღების თარიღი. ამასთან ერთად დღეს ხალხის კულტუროსნობის ერთი მთავარი საზომია მისი ეროვნული შეგნება, რომელიც შედეგია საუკუნეებრივი ისტორიული განვითარების. მაგრამ ეს შეკვება ნიშანს ამავე დროს ერის მისწრაფებას, მის ნებისყოფას, ეროვნული მიზნის განხორციელებისკენ მიმართულს. ეს მტკიცედ გამოხატული ნებისყოფა კი ვერ შეურიგდება ოპორტუნისტულ პოლიტიკას, რომელიც მიზნის ნაწილობრივ განხორციელებას და ამით ამ მიზნის გაყალბებას წარმოადგენს. ირლანდიის ხალხის მიერ მრავალ საუკუნეებში მტკიცედ წარმოებულმა ბრძოლამ თავისუფლების მოყვარულ კაცობრიობაში დიდი აღფრთვანება და სიმპატიები გამოიწვია და ირლანდიის ბრძოლის სასარგებლოდ ამუშავებული მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი გახდა ძლიერ ფაქტორად მისი გათავისუფლების საქმეში. ეჭვს გარეშე, ირლანდია დღესაც არ იქნებოდა თავისუფალი, რომ მისი ბრძოლა უკომპრომისო არ ყოფილიყო; სწორედ ამ გარემოებას მიეწერება ირლანდიის საკითხის ასე დიდი პოპულიარობა მსოფლიოში.

პატარა საქართველოც იძულებულია გარეთ ეძიოს დასაყრდნობი და დახმარება თავის ბრძოლაში და შეეცადოს, უკვე შეძენილი თანაგრძნობა და სიმპატიები გააძლიეროს და ახალი მოიპოვოს, განსაკუთრებით ამერიკაში, სადაც ის დღემდის სუსტია. ეს კი შესაძლებელია არა კომპრომისული განწყობილებით და მერყეობით, არამედ ქართული ეროვნული რწმენის ძალით და იმ მტკიცედ პოზიციის შერჩენით, რომელიც ქართველ ემიგრაციას აქნამდი ახასიათებდა და რომელმაც მას ამდენი მეგობრები შესძინა. მერყეობით და დათმობით ქართული საჯმის სიმართლეში ვერავის დაგარწმუნებთ, თუნდაც რომ ეს დათმობა უფრო გასავები გაეხადოთ ევროპის ცხოვრების ინტეგრაციისკენ მიმართულ განვითარებაშე მითითებით. რამდენადაც ამგვარ განვითარებას მართლა ადვილი აქვს, ის შედეგია მომწიფებული კაპიტალიზმის და ეკონომიკურად საბოლოოდ გამოწევეულია მეურნეობის მოწესრიგების და საქონლის ბაზრის უზრუნველყოფის საჭიროებით. პოლიტიკურ-მილიტარულად კი—აღმოსავლეთის საშიშროებით. ამ განვითარებას არ მიეცა დღემდის პოლიტიკური გამოსახულება და არ გვაქვს რეალური საბუთი ვიზიტროთ, რომ იგი ამგვარ ფორმას ახლო მომავალში მიიღებს..

მეორე მხრით უდავოა, რომ ამ დიდ ოშების ხანაში განსაკუთრებით გაძლიერდა ეროვნული დიფერენციაცია, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. განვითარების ღრივე ეს მიმართულება, ინტეგრაცია და დიფერენციაცია, არის დღევანდელი საზოგადოების ორი მხარე, რომლებიც ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან; ერთია კაპიტალისტური მეურნეობის ბუნებაში ჩაქსოვილ ეკონომიკურ ექსპანსიის გამოხატულება, მეორე—კაპიტალიზმის წარმოშობით დაწყებული ადამიანისა და საზოგადოების გათავისუფლების პროცესის გაგრძელება. მთელ მეორე საუკუნის განმავლობაში, როდესაც აშერა გახდა კაპიტალისტური ექსპანსიის ფაქტი, ორივე აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს პარალელურად; ამ საუკუნემ მოგვცა როგორც ერთის, ისე მეორეს უაღრესი გაძლიერება. ამგვარად პირებელი ტენდენცია არ წარმოადგებს საზოტრევებას ეროვნული პრინციპის განხორციელებისთვის, საჭიროა მხოლოდ მისი ნამდვილი გაეგება და არა გაზიარება; იგი მიმართულია ერთა თანამშრომლობისკენ და არა ერთა მოსპობისკენ.

კაპიტალიზმის განვითარებამ ტექნიკის მონაპოვართა საფუძველზე ისე გადააბა სახელმწიფოები ერთი მეორეს, შექმნა ისეთი მკიდრო დამოკიდებულებები მათ შორის, რომ არც ერთი მათგანი არ არის ისე სუვერენული, როგორც ეს იყო ჯერ კიდევ, ვთქვათ, მე-19 საუკუნეში; სახელმწიფოთა სუვერენობა საგრძნობლად შეინიშულა. მაგრამ ყოველი ახალი ეროვნული სახელმწიფო ხალხთა ოჯახში შევა იმავე უფლებებით, რომლებიც ამ გადახლართულ დამოკიდებულებებში შერჩება სხვა დანარჩენს. აქ სუვერენობის რაიმე ახალ კონცეპციაზე ლაპარაკი ნიშნავს ამ მარტივი დემუსტების გართულებას და ნამდვილი პრობლემის ბურუსში განვევას. სუვერენობის მცნება ამით არ იცვლება.

კომპრომისი წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპიდან გადახვევას და გამოწვეულია ყოველთვის არსებულ ძალთა განწყობილებიდან გამომდინარე აუცილებლობით. კომპრომისის აუცილებლობის საკითხი დგება საქართველოს-თვის მხოლოდ, თუ მისი ეროვნული მისწრაფების განხორციელება შეუძლებელი ხდება

1. თეთი საქართველოს მიზნებით, ე. ი. საქართველოში არ არის მოცუკილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პირობები, ან

2. საქართველოს გარეთ მომქმედ ძალთა წყალობით, ე. ი. საერთაშორისო ძალთა განწყობილება არ არის საქართველოს-თვის ხელსაყრელი. გავარჩიოთ ორივე ეს დებულება.

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის მხრით საქართველო მტკიცე საფუძველზე სდგას. მას აქვს საკმაოდ განვითარებული სასოფლო მეურნეობა, რომელიც საქუთარი ძალით სავსებით უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის

გამოკვებას. ეს სასოფლო მეურნეობა მისი მრავალფეროვანებით თამამად შეიძლება შევადაროთ კალიფორნიისას, ის იძლევა ყოველგვარ პროდუქტს ზომიერი და სუბტროპიკული ზონების და საინდუსტრიო ნედლ მასალას. ქართული სასოფლო მეურნეობა იმდენად ბარექიანია, რომ მის ზოგიერთ დარგს დღევანდელ საბჭოთა კავშირში საკავშირო მხიშვერლობა აქვს, ე. ი. ხმარდება მთელი საბჭოთა კავშირის მომარაგებას. საქართველოს აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის ექსპლოატაცია მხოლოდ ნაწილ ობრივად წარმოადგებს, წარმოადგენს შესაძლებელი ძლიერი ინდუსტრიის საფუძველს. მთელი ქართული მეურნეობა იძლევა შესაძლებლობას ფართო ექსპორტის, რომელიც ხალხის კეთილდღეობის ერთ-ერთი ფაქტორია და რომელიც დღესაც თვალსაჩინოა. საქართველოს გეოგრაფიული მდგრადი მომართველობა აძლევს მას შესაძლებლობას, ითამაშოს მნიშვნელოვანი რაოდი საერთაშორისო სავაჭრო გაცვლა-გამოცვლაში. საქართველოს ეს ეკონომიკური შესაძლებლობანი ისე უდავოა და ისე ცნობილი, რომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ასევე უდავოა ქართველი ხალხის უნარი საზოგადოებრივსა და სახელმწიფო მშენებლობის და მართველობის საქმეში. ეს უნარი მრავალსაუკუნიანი საკუთარი სახელმწიფო ტრადიციის ძალით, ასე ვთქვათ, თანდაყოლილია და შეენახა და გადმოეცა მას უშუალოდ მისი გადარჩენილი, წინეთ ხელმძღვანელი პოლიტიკური წრის საშუალებით. ეს უნარი მან გამოაშეავა ძეველი რუსეთის იმპერიაშიც მრავალჯელ, მაგ. სახელმწიფო ფუმაში, სადაც მისი წარმომადგენლები მთელს ოპონიციას ხელმძღვანელობდენ, და შემდეგ მთელი ქვეყნის წინაშე სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის დროს. ქართველი ხალხი ინტელექტუალურად და კულტურულად ძეველ რუსეთის იმპერიაში ყველა შემავალ ხალხებზე წინ იდგა და დღესაც პირველი ადგილი უჭირავს. ამგარად საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის პერსპექტივები, როგორც ობიექტიური, ისე სუბიექტიური ელემენტის მხრით, ბრწყინვალედ უნდა ჩაითვალოს.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაპყრობით შექმნა ქართული საკითხი და გადააქცია და ცდილობს მომავალშიც დასტუროს ის თავის შინაურ საკითხად. ეს დიდი ხნით ასე დარჩებოდა და საქართველოს ისე, როგორც სხვა საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ დაპყრობილ ერებს არავინ გამოესარჩილებოდა, რომ საბჭოთა რუსეთის გაუმაძლრობას და ძლიერ ექსპანსიას ამ მოის შემდეგ არ გამოეწია რეაქცია რუსეთის ამ მოქმედებისადმი მის შეშინებულ მოყავშირეებში, რომლებმაც მათი იმპერიალისტური ინტერესები საფრთხეში დაინახეს. ამით წამოიჭრა დასავლეთის საზოგადოებრივი აზრისთვის აგერეთვე დაპყრობილ ერთა და მაშასადამე საქართველოს საკითხიც. შეიქმნა უთუოდ ხელსაყრელი საერთა-

შორისთვის მდგომარეობა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთვის, მას შეეძინა ძლიერი მოვაკეშირე. ქართველ მა ემიგრაციამ უნდა გამოიყენოს ეს მდგომარეობა და, რადგან თვით ქართველი ხალხი ხელ-ფეხ შექრულია და თავისი ეროვნული სურვილების გამომედავნების საშუალებას მოკლებულ ია. ყოველი ლონჯ იხმაროს დასავლეთის საზოგადო ეტაზზე ჭირ ქართული ეროვნული საკითხებისამდმი ინტერესის გამვიძებისა და გაძლიერებისათვის.

ამ მიხნისთვის კველაზე ნაკლებად გამოსადეგია ისეთი მოუფიქრებელი და ნაჩეარევი დეკლარაციები, რომლებიც რუსეთთან ფედერაციას უულისხმობენ. ამგვარი დეკლარაციები მავნებელია ქართული ეროვნული საქმისთვის იმით, რომ ისინი სტროვებენ დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის, საზოგადოებრივ აზრზე ისეთ შთაბეჭდილებას. თითქმეს საქართველო ხელს იღებდეს ეროვნული პრინციპის კრისტეკვენტულ განხორციელებაზე და კმაყოფილ დებოდეს უკვე არსებული მდგომარეობით, საბჭოთა კავშირში ერთა შორის არსებული უფლებრივი ურთიერთობით. მაგრამ მხრიდან რეების შეცვლით. ეს იქნებოდა ხაციონალური საკითხის იმინდოფერებული გაგების დადასტურება, რომელსაც დღევანდლამდის ადგილი აქვს ამერიკაში და რომლის შეცვლა ახალი ნაციონალური კონცეპციით დაჩაგრულ ერთათვის სასურველია. ამერიკაში ნაციონალიზმი უცნობია. ეს ისხსნება იმით, რომ იქნეულ პირობებში დროთა განმავლობაში ხდებოდა ემიგრანტთა ასიმილიაცია და გათქვეფა იქნეულ მოსახლეობაში, რის გამო ნაციონალური განსხვავებები ქრებოდენ და არ იღებდენ თავის პოლიტიკურ გამოხატულებას: ამიტომ ნაციონალიზმი და ნაციონალური საკითხი იქნებოდს. საცხებით წინააღმდეგი სურათია საბჭოთა კავშირში, სადაც ერთი მეორეს გვერდით ცხოვრობენ მრავალი ერთმანეთისაგან წარმოშობით. ენით და მთელი კულტურით განსხვავებული და ტერიტორიალურად განსაზღვრული ხალხები. რომელთა ასიმილიაცია რუს მოსახლეობასთან რუსეთის მთავრობამ, მიუხედავად ხანგრძლივი რუსიფიკაციურული პოლიტიკისა, ვერ შეძლო, და ამ ხალხებში არსებობს ძირი მისწრაფება ეროვნული თავისუფლებისკენ. ამიტომ ამერიკის ურთიერთობიდან გამოსვლა და მისი გავრცელება საბჭოთა კავშირზე იქნებოდა აქაური სინამდვილის ყალბად გაგება. საბჭოთა უნიონი ამერიკის ფართო საზოგადოების წარმოდგენაში იმავე საფუძველზეა აგებული, როგორც ამერიკის უნიონი, და ბრძოლა საბჭოთა უნიონში მიმართულია მხოლოდ რეების წინააღმდეგ. რუსეთთან ფედერაციის დეკლაციები სწორედ ამ შეხედულებას ამართლებენ. მაგრამ ამოიწურება საქართველოს ბრძოლა ამ რეებით უკმაყრ ფილებით? საბჭოთა რუსეთმა დაიბყრო საქართველო და შემორტანა აქ თავისი რეებიც. საქართველო კი, ებრძვის რა ამ

პომუნისტურ რეჟიმს, ამავე დროს სთვლის, რომ ის იმყოფება ოკუპაციის მდგომარეობაში. მოხდენილის საბჭოთა რუსეთის მიერ, რომელმაც იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით და დაარღვია ეს ხელშეკრულება არა საქართველოს მიერ გამოწვეულ თავდასხმით. საქართველო, თითქმის ყველა და იდ სახელმწიფოს მიერ ცნობილი, მოითხოვს აღდგენას *status quo ante*-სი. აღდგენას დასახლებული ხელშეკრულებით დაწესებულ საერთაშორისო ურთიერთობისა, რომელიც უსეთმა დაარღვია უკეში ძალით. ჩვენ უნდა ვეცადოთ. აი ეს ჩვენი უდლებრივი თემისი აღიაროს დასახლეთის საზოგადოებრივმა აზრმაც. ვედი ერაციის ტკლარაცია კი, პირიქით. აცლის საფუძველს საქართველოს გამათავისუფლებელ ბრძოლას.

როგორ შეიძლება მოხდეს ეს გათავისუფლება?

რუსეთი შეიარაღებულია თავიდან ფეხებამდე ტექნიკის უახლეს მონაბოვართა საფუძველზე, ქართველი ხალხი კი განიარაღებულია; ამიტომ პირდაპირი შემძის. აჯანყების გზა-თუნდაც ყველა დაპყრობილ ერთა გაერთიანებული ძალებით, არ იძლევა გამარჯვების შანსებს. ეს გზა საქართველომ სცადა არა ერთხელ იმ შედევით. რომ ის ყოველთვის ვარდებოდა ფიზიკური განადგურების საფრთხეში. ამ გზის უკარგისების გამო რჩება დაპყრობილ ხალხთა ეროვნული პოლიტიკის ორი შესაძლებლობა:

1. ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ბეჭი ხდება დამკიდებული საბჭოთა კავშირის შინაგან ძალთა განვითარებისგან, რომელიც შეიძლება გამოისახოს ბოლშევიკური ძალაუფლების ევროლიუციაში ან ხალხურ რევოლიუციაში ამ ხელისუფლების წინააღმდეგ არივე ამ შემთხვევებში ერთი რუსული ხელისუფლება შეიცვლება მეორეთი და ეროვნული საკითხი დარჩება გადაუწყვეტელი; ასც ერთი რუსული მთავრობა არ დასთმობს საქართველოს და კავკასიას ხებაყოფლობით, არ გაათავისუფლებს მათ. როგორც ეს ქნა შეერთებულმა შტატებმა ფილიპინების მიმართ. ამისგან დამოუკიდებლად საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების გზა დასპონტირდან დემოკრატიისკენ არის, აგრეთვე თვით რუსის ხალხის მიერ საბჭოთა ხელისუფლებისადმი აქნამდის გამოაშეარევებულ პასივობის გამოც, ხანგრძლივი პროცესი, რომლის განმავლობაში დაპყრობილ ხალხთა ბეჭი შეიძლება განდესტრალიკული, როგორც ამას მოწმობს შოგ ჩრდილო-კავკასიელ ხალხთა მაგალითი, რომლებიც მათ შობლიურ ადგილებიდან იქნენ აყრილი და გადასახლებული შორეულ ადგილებში, სადაც მათ უკეცველი განადგურება მოელის.

2. ნაციონალური პოლიტიკის მეორე შესაძლებლობა მდგომარეობს შემდეგში: საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს მთელი კულტურული მსოფლიოს არსებობისთვის და ეს საფრთხე მუდამ იქნება, სანამ საბჭოთა კა-

ვშირი ტერიტორიალურად ხელუხლებელი დარჩება. ამიტომ დასავლეთის ღიღმა დემოკრატიებმა, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, უნდა გადასინჯონ მათი პოზიცია რუსეთისადმი. აქნამდის შეერთებული შტატები რუსეთში, რომლისაგან მათ არ ყოფდა პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგობა, ხედავდენ ძუნებრივ მოკავშირეს ამერიკის მეტოქე ექსპანსიურ სახელმწიფოებთან ბრძოლაში, როგორიც იყვნენ იაპონია და გერმანია; ამიტომ ამერიკა ცდილობდა დაეცვა რუსეთის მთლიანობა. მაგრამ გერმანიის და იაპონიის დამარცხების შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, ეხლა თვით რუსეთი უქადის ამერიკას და მთელს დასავლეთს განადგურებას; გადარჩენა მშვიდობიანობის და კულტურის, რომელთაც ემუქრება რუსეთი, შეიძლება მხოლოდ იძულებაზე აგებულ საბჭოთა კავშირის დაყოფით მის ბუნებრივ ნაწილებად.

საზოგადოებრივი ცხოვრების ორივე სისტემა, დასავლეთის და აღმოსავლეთის, უარყოფენ ერთმანეთს: პირველი აგებულია ჰუმანიზმის პრინციპებზე და ახორციელებს პიროვნების თავისუფლებას და ათავისუფლებს საზოგადოებას დესპოტიურ სახელმწიფოსაგან; მეორე კი მდგომარეობს ტირანიულ ბატონობაში პიროვნებაზე და საზოგადოებაზე. ამ სისტემათა თანაცხოვრების და თანამშრომლობის შეუძლებლობა ყველასთვის აშკარა გახდა. ბრძოლა ამ სისტემათა შორის მეტ ნაწილად სწარმოებს საბჭოთა ტირანიის მიერ დაჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისთვის და მათი ეროვნული არსებობის უფლებისთვის. ამ ერთა განთავისუფლებას მოითხოვს არა მხოლოდ ეროვნული სამართლიანობა, არამედ მშვიდობიანობისა და დასავლეთის კულტურის დაცვის საჭიროებაც.

მდგომარეობას ჩვენ უნდა შეეხედოთ რეალურად, უილიობით. ახალი სახელმწიფო არასოდეს წარმოშობილა კეთილი სურვილის და აქედან გამომდინარე შეთანხმების შედეგად; ის მუდამ იქნებოდა ომის ან რევოლუციის ცეცხლში, მას ქმნიდა ძალა. ხალხთა გათავისუფლების სხვა შესაძლებლობა ისტორიაში არ სწერია. ეს ასე მოხდება ეხლაც, თუ აღმოსავლეთის დაჩაგრული ერები თვითონ არ იჩქვენ ყმობას რუსეთთან ფედერაციაში. მაგრამ ეს უკვე აღარ არის აღმოსავლეთის ლოკალური საკითხი, მის გადაწყვეტაში დაინტერესებულია დღეს მთელი მსოფლიო.

ჩვენ არ ვიცნობთ ისეთ შემთხვევას, როდესაც პატარა, ნაციონალურად შედგენილი ერი ნებაყოფლობით დაკავშირებოდეს დიდს, საერთო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფედერატიულსა თუ სხვა საფუძველზე მოწყობის მიზნით. თავისთავად ცხადია, ასეთი კავშირი იქნებოდა, და ამას ყველი პატარა ერი გრძნობს, მისი დამოუკიდებელი პოლი-

ტიკური არსებობის დასასრული; დიდი გადაყლაპავდა პატარას. თუ პატარა ერის ცდას, თავისი პოლიტიკური ბეჭი დიდისას დაუკავშიროს, ადგილი ქონდა, ეს იყო იძულებითი, გამოწვეული მისი გართულებული საერთაშორისო მდგრძელებით, როგორც მაგალ რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულება. მაგრამ ეს ხელშეკრულება ქმნიდა არა ახალ სახელმწიფოს, არამედ ახალ საერთაშორისო უფლებრივ ურთიერთობას, რომლის ძალით საქართველო თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას ინარჩუნებდა; მას რუსეთთან ფედერაცია აზრადაც არ მოსვლია. საქართველოს ეს ნაბიჯი გამოწვეული იყო მაშინ საშიშროებით მისი სახელმწიფოებრივი არსებობისთვის სამხრეთიდან, სპარსეთ-ოსმალეთის მხრით. გათავისუფლებულ საქართველოსთვის ეს საშიშროება სამხრეთიდან აღარ არსებობს, მით უფრო დიდია ის ჩრდილოეთიდან; კიდევ-მეტი, რუსეთმა დაიბყრო საქართველო და მოსპონ მისი დამოუკიდებელი არსებობის ყოველი ნასახი. ქართველი ხალხი ებრძვის ამ ძალმომრეობას და ცდოლობს დაიბრუნოს თავისუფლება. აქცი ზოგიერთი დემოკრატი ურჩევს საქართველოს, ეძმოს დაოცს და თვითონ ამოთხაროს საკუთარი სამარე ფედერაციის სახით.

თუ ჩვენ გადავავლებთ თვალს არსებულ ფედერატიულ სახელმწიფოებს, დავინახავთ, რომ ყოველი მათგანი აკავშირებს ჰომოვენ, მსგავს მოსახლეობათ, რომელნიც არიან საერთო წარმოშობის და ორმელთაც აქვთ საერთო ისტორია, საერთო ენა და კულტურა. გერმანიაში შემავალ სახელმწიფოთა მოსახლეობანი წარმოადგენს გერმანელი ხალხის ერთი სისხლის სხვადასხვა ტომებს, რომელთაც ისტორია, ენა და კულტურა საერთო აქვთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს შერეული, მაგრამ ასიმილიაციის საფუძველზე შემდგარი ჰომოვენი მოსახლეობა ერთი ენით, კულტურით და ისტორიით. ასეთსავე საფუძველზე დამყარებული სამხრეთ-ამერიკის ფედერატიული სახელმწიფოები. აგრეთვე შევიცარიის მოსახლეობა, თუმცა არა ერთი წარმოშობის, გაერთიანებულია საერთო ბუნებით და ისტორიით და აღზრდილია მისი შინაგანი ბუნების დამახასიათებელ დემოკრატიულ ტრადიციებზე, რომლებიც ძველი დროიდან მოცემული და შენახულია თავისუფალი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმით, კანტონალური, უშუალო დემოკრატიით. დასახელებული სახელმწიფოების სახით ისტორიაში მოვცა ფედერატიული სახელმწიფოს ნორმალური ტიპი, ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ასეთ ფედერაციას. ამგვარად უნდა აუცილებლად არსებობდენ მოსახლეობათა გამაერთიანებელი მომენტები აქ აღნიშნული ხასიათის, რომ შესაძლებელი გახდეს ამ მოსახლეობათა ხანგრძლივი თანაცხოვრება და თანამშრომლობა ერთ სახელმწიფოს ფარგლებში.

რა აერთიანებს ქართველ ხალხს რუსთან? არაფერი, გარ-

და ოფიციალური სარწმუნოებისა, რომლის მნიშვნელობა დღეს მცირება, და შედარებით არა ხანგრძლივი ნაძლადევი თანაცხვრებისა ერთ სახელმწიფოში, რაც განხორციელდა ორ ეტაპში, ცარისტულში და სოვეტულში. ორივე ეს ეტაპი იწყება საქართველოს დაპყრობით და ხასიათდება ძალ მომზრებით რუსების მხრით და ქართველი ხალხის უკიდურესი წინააღმდეგობით, რომელიც გამოიხატა 25 სისხლიან აჯანყებაში მე 19 საუკუნეში და 5 აჯანყებაში, ქართველი ხალხის გამანადგურებელი შედეგით, 1921—1924 წლებში, ე. ი. ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთას ბატონობის დროს. ქართველ ხალხს არავერი აქვს საერთო სლავებთან, კერძოთ რუსებთან არც წარმოშობით, არც ენით და კულტურით და არც მთელი მისი ისტორიით და მას არ აქვს არავითარი, არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური თუ სხვა რაიმე ინტერესი გადაებას რუსეთს. მხოლოდ რუსეთი არის დაინტერესებული, შეინარჩუნოს თავისი ბატონობა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სტრატეგიულად საქართველოზე და კავკასიაზე, რომლის გამოყენება მას სურს იმპერიალისტური მიზნით. როგორც ექსპლუატაციის და ექსპანსიის ბაზა დასავლეთით და სამხრეთით.

ეს დაპყრობითი იმპერიალისტური მიზანი ედვა საფუძვლად მეფეურ რუსეთის პოლიტიკას, ის ასულდგმულებს დლევანდელ საბჭოელ ტირანებს და იგი გახდება, ისტორიული დინამიკის გარდაუვალი კანონების ძალით, აგრეთვე მომავალი ე. წ. დემოკრატიული რუსეთის პოლიტიკის სახელმძღვანელოთ, თუ ეს უკანასკნელი ამა თუ იმ ფორმით. უნიტარულით თუ ფედერატიულით, საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორიალური მემკვიდრეობის ბატონ-პატრონი იქნება. სწორედ ამ მოსახრებათა და ისტორიული გამოცდილების ძალით საქართველო არ ენდობა არავითარ რუსეთს, არც მომავალს «დემოკრატიულს» და უარყოფითად უყურებს კერძესკის ტიპის დემოკრატების ცდას, მიმართულს «რუსეთის თავისუფალ ხალხთა ფედერაციის» შექმნისკენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ეს ცდა იდენტიურია დლევანდელი მდგომარეობის შენარჩუნებასთან. შესაძლებელია შეიცვალოს მხოლოდ რეებით. მაგრამ ამგვარი ფედერაცია დიდი ძლიერი ერის პატარაებსა და სუსტებთან არ შეიცავს მათ შორის წინააღმდეგობათა შემარიგებელ პოლიტიკურ ფაქტორს და მას აქვს ძალთა წონასწორობის დარღვევის და ისევძლიერის ბატონობის დაწესების ტენდენცია. ასეთი განვითარების წინააღმდეგ ნაგულისხმევი კონსტიტუციური გარანტიება არ არიან ყოველთვის საქმარისი, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ისეთ ექსპანსიურ ერს, როგორიცაა რუსი. აი რას ამბობს ამ სკითხზე ცნობილი ავტორიტეტი სახელმწიფო უფლების სფეროში პროფ. იელინეკი: «რადგან ფედერატიული სახელმწიფო სუვერენულია, ამიტომ არ არსებობს

არაეითარი საზღვარი მისი კომპეტენციის გაფართოვების-თვის შემაგალ სახელმწიფოთა მიმართ: კომპეტენციის ამ გაფართოვებას შეუძლია ამათი სახელმწიფოებრივი ხასიათის მოსპობამდი მიეცის და ფედერატიული სახელმწიფო ამის მიხედვით უნიტარულად გადაიქცეს... არ არის წარმოუდგენელი, რომ კონსტიტუციის შეცვლის გზით შემაგალ სახელმწიფოთა ღირსება თანდათან შეიზღუდება, ისე რომ ესენი ბოლოს იურიდიულად სახელმწიფოებათ ვეღარ ჩაითვლებია» (იხ. Prof. D-r. Georg Felinek, Allgemeine Staatslehre, გვ. 783. Berlin, 1922).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ რუსეთთან ფედერაციას ჩვენ მისაღებად გვიხატავენ იმით, რომ ის იქნება ფედერაცია რუსეთის დემოკრატიასთან. მაგრამ სად არის ეს რუსეთის დემოკრატია? მთელი ისტორიის განმავლობაში რუსული სახელმწიფო ძალაუფლება უსაზღვროდ ბატონობდა ცხოვრების ყველა დარგში: მიწა და მთელი მრეწველობა შეაღენდენ მის საკუთრებას; ფეოდალები იყვნენ მისი ყმა და მოსამსახურე და გლეხობა ამ ფეოდალებისა და გლეხური თემური საზოგადოების «ოპშინის» საშუალებით სახელმწიფოს მონა და საკუთრება. ეს სოციალ-ეკონომიური სისტემა შეადგენს ღმენის და საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველსაც. უმოწყალო პოლიციური აპარატის საშუალებით. ივანე მრისხინის «ოპრიჩინია»-დან თვითმპრობელობის «ოპრაკა»-სა და ბოლშევიკურ «ენკავედე-მდე, რუსულმა სახელმწიფომ დააყენა მთელი საზოგადოება თავის მათრახის ქვეშ.

დასავლეთში დემოკრატია შექმნა ბურჟუაზიამ. ასევე უნდა მომზღაოყოფო რუსეთშიც. მაგრამ ბურჟუაზია, რომელიც რუსეთში წარმოიშვა მთოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და რომელიც შედეგი იყო არა ფეოდალიზმის საუკუნოებრივი თანდათანობითი რღვევის პროცესის, როგორც დასავლეთში, ეს ბურჟუაზია იყო აქ სუსტი და საცხებით დამოკიდებული რუსულ სახელმწიფოსაგან და უცხოეთის კაპიტალისაგან; მას აკლდა მაშასადამე დასავლეთის ტრადიციები, ძალა და უნარი, მისი პოლიტიკური იდეალი თავის სამშობლოში განებორციელებია. რუსულმა ბოლშევიზმა შემდეგ მას მისი არსებობის საფუძველი გამოაცალა და თვითონ იგი ფიზიკურადაც გაანადგურა. ამით ბოლო მოელო რუსეთში ბურჟუაზიული დემოკრატიის, როგორც პოლიტიკური ფაქტორის, ასებობის ილიუზიასაც.

სამაგიეროთ რუსეთის სინამდვილეში განვითარდენ ძალები, რომელთა მასაზრდოებელი წყარო სოფლის სოციალური სტრუქტურა იყო. ველიკოროსთა მოსახლეობა, გლეხობა, ძველი დროიდანვე გაერთიანებული იყო თემურ სამფლობელო საზოგადოებაში, «ოპშინა»-ში, რომელმაც თავისი წევრები, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ნაბრძანები

სტატუტის თანახმად, მხოლოდ თავის ადგილობრივ საქმე-
 ებში ჩააბა და სახელმწიფო საქმეებს საკეთი ჩამოაზრა,
 ამით სახელმწიფო ძალაუფლება გახდა მოსახლეობიდან და-
 დამოუკიდებელი და მიიღო დესპოტიური ხასიათი. «ობშინ-
 აში» გათქვეფით ველიკოროს ადამიანმა დაკარგა თავისი
 ინდივიდუალობა. ეს სოციალური ინსტიტუცია, რომელიც
 რუსული სახელმწიფო ძალაუფლების ბატონობის საფუძვე-
 ლი და იარაღი იყო, გადაურჩა ისტორიულ ქარტებისა და
 მან შეინახა თავისი სახე თითქმის უცვლელად მთელი ისტო-
 რიის განმავლობაში სულ ბოლომდე. მის ამ გამძლეობასა და
 ცხოველმყოფელობაშე ააგეს სლავიანოფილებმა და ნაროდ-
 ნიკებმა მე 19 საუკუნეში მათი იდეოლოგია რუსეთისა და ევ-
 როპის კულტურის განსხვავებისა და მათი სხვადასხვა ისტო-
 რიული გზის შესახებ, მაშასადამე რუსეთის ევროპიულისა-
 გან განსხვავებული, ე. ი. არა კაპიტალისტური განვითარე-
 ბის შესახებ. აქედან იწყება რუსების მიერ სისტემატიური
 იდეოლოგიური უარყოფა კაპიტალიზმის და ამით დასაცავე-
 თის კულტურის, რაც ბოლშევკიკებმა მათი საქმით ასე რადი-
 კალურად გამოსახეს. სწორედ ამ რუსული სოციალური
 სტრუქტურიდან გამომდინარე წინააღმდეგობა კაპიტალი-
 ზმისადმი და ევროპის კულტურისადმი, ბოლშევკიკების მიერ
 მექანიზრებით იდეოლოგიურად შეთვისებული, უნდა ჩაი-
 თვალოს ბოლშევკიზმის მთავარ მამოძრავებელ ძალად ჯერ
 კიდევ სუსტი კაპიტალიზმის განადგურების საქმეში, ნაკლე-
 ბად მარქიზმი, რომლისათვის სოციალიზმი განვითარებული
 კაპიტალიზმიდან უნდა განვითარდეს. ნაროდნიკებისთვის
 ახალი თავისეუფალი საზოგადოების აგება შეიძლება მხოლოდ
 «ობშინის საფუძველზე», რომელშიდაც გამოსახულია რუ-
 სული თავისებურება და კულტურა. მაგრამ საზოგადოების
 გათავისუფლება, დაბეჭავებული ხალხის უუნარობის გამო
 თვით გაითავისუფლოს თავი, უნდა მოახდინოს ინტელიგენ-
 ციამ, რომელიც ამისთვის ყოველგვარ სახულებას მიმარ-
 თავს: ცეცხლს, ტყვიას, ძალადობას, ტერორს. ყოველი არსე-
 ბული უნდა დაინგრეს, განადგურდეს, იქცეს არაფრად, nihil-
 ად. ასე წარმოიშვა ნილილისტური დემოკრატია, რომელიც
 აშვებულის და ნგრევის ფსიქოზით მოცულ იბშინურ გლე-
 ხის ბატონობის ფორმა უნდა ყოთილიყო. სახელმწიფოებრი-
 ვი განხორციელება ამ იდეოლოგიაში გამოხატულმა დემო-
 კრატიამ პოვა ბოლშევკიზმის სახით. სოვეტური «ახალი დე-
 მოკრატიის» არსება გამოიხატა იმაში, რომ მან ძირბუდია-
 ნად დაანგრია ყოველი არსებული და შექნა მასიური ადამია-
 ნი, ფეხქვეშ გასთელა პიროვნების ლირსება, აქცია ხალხი
 ჯოგათ, შერევა მთელი მოსახლეობა ისევ «ობშინაში» — ბო-
 ლშევკურ კოლექტივში თუ სხვა მასიურ ორგანიზაციებში
 და საქონცენტრაციო ბანაკებში და უზრუნველყო ამით თა-
 ვისი ხელისუფლება საზოგადოების ყოველ კონტროლისაგან.

რუსეთში არსებობს მხოლოდ ეს «ახალი დემოკრატია», საშინელი, სისხლიანი, რომელსაც ემიჯნება ჩვენთან ერთად მთელი განათლებული კაცობრიობა. ვინ დაპატრინება რუსეთის სახელმწიფოს «სოვეტური» რეეიმის დამხობის შემდეგ, ჩვენ არ ვიცით; ვფიქრობთ, რომ ეს არ იქნება ნამდვილი დემოკრატია, ვინაზღადან ის ჯერ არსა სხანს, მისი შექმნა კი ხანგრძლივი პროცესის საქმეა. ამრიგად ეს დემოკრატიაც ილიუზია აღმოჩნდა და ჩვენ ვდგვართ ნამდვილი რუსეთის პირისპირ, როგორც იგი ისტორიულად მოცემულია და რომელთანაც საქართველოს დამოკიდებულება არ შეიძლება არ იყოს ანტაგონისტური.

ფედერაციის საჭიროებას რუსი ემიგრანტ-დემოკრატები სხვათა შორის იმითაც ასაბუთებენ, რომ «სოვეტური» რეეიმის სინამდვილეში მოხდა ყველა ადამიანთა დაახლოვება, განურჩევლად ეროვნებისა, საკონცეტრაციო ბანაკებში გამოიშვება ერთა ნამდვილი სოლიდარობა. აქედან რუსების დასკვნაა, მომავალშიც ერთად უნდა დავტეხოთ. ეჭვს გარეშეა და ფსიქოლოგიურად და ადამიანურად ადვილი გასაგები, რომ სულთამხუთავი რეეიმის პირობებში, საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც ფინკური არსებობის, სიცოცხლის შენარჩუნების საკითხი დგას, საქრთო უბედურებაში ყველანი სოლიდარული არიან ამ რეეიმის წინააღმდეგ გრძელაში და ყოველი წინააღმდეგობა მათ შორის იმ შომენტში წაშლილია. მაგრამ ეს წინააღმდეგობა დაფარულია სწორედ ამ იძულებითი მდგომარეობით და სიცოცხლის სურვილის პრიმატით და თავს იჩენ მაშინვე. როგორც კი ეს მდგომარეობა შეიცვლება. და მართლაც, საკონცენტრაციო ბანაკების გარეშე ეროვნული განსხვავებები ამ რეეიმის პირობებშიც საგრძნობია.

რუსი დემოკრატები მათ ნამდვილ ზრახვებს ამგვარი დასაბუთების სამოსელში ხვევენ, სხვა ჯურის ემიგრანტები ამგვარ მისრითიყაციას საჭიროდაც არ სთვლიან და უტიფრად ააშკარავებენ თავის ზრახვებს. სოლიდარისტები, რუსი ნეოფაშისტები, განმარტავენ: «როსიანთა ნაცია არის ხალხთა მცირეობა ჯვახი, რომელიც ისტორიულად შემოკრებილი არიან რუსის ხალხის გარშემო საქრთო სახელმწიფოებრივი, კულტურული და კუნძომიური ინტერესების შეგნებით». აქ რამდენი სიტყვაა, იმდენი სიყალბაა. უდავო ისტორიული ფაქტია, რომ ეს ხალხები აღმოსავლეთში არ შემოკრებილან რუსის ხალხის ირგვლივ, არამედ ისინი იარაღით დაპყრობილი იქნენ ამ ხალხის მიერ და არც ერთი დასახელებული ინტერესი საქართველოს არ აერთიანებს რუსეთთან. რუსების ეს უცნაური «როსიათა ნაცია» წმინდა წყლის ველური განმარტება და რუსი იმპერიალისტების ახალი გამოგონება არის, იგი ისეთივე ნაძალადევი და არაბუნებრივი კონსტრუქციაა, როგორც დლევანდელი საბჭოთა კავშირი. ყველა ჯუ-

რის რუსი მოწადინებულია შეინარჩუნოს ბატონობა საბჭო-
 თა კავშირში მოწყველეულ უცხო ერებზე და ის კიდევ სხვებ-
 ზედაც გაავრცელოს, ეს ერები კი იბრძვიან, რომ თავი გაი-
 თავისუფლონ ამ ბატონობისგან. ამ ერების, კერძოთ საქარ-
 თველოს რამე სახელმწიფო ერებივი კავშირი რუსეთთან. აგ-
 რეთვე ფედერაცია, ზევით განვითარებულ მოსახრება ა მი-
 ხედვით, სავსებით გამორიცხულია.

თავისუფალი საქართველო დაამყარებს, თუ ეს აუცილე-
 ბელი იქნება, კავშირს თავის მეზობელ კავკასიელ ერებთან,
 რომელთანაც მას საერთო კავკასიური ბუნების და საერთო
 ისტორიული ბედის და ნათესაური კავშირის ნიადაგზე შე-
 თანხმება შეეძლება.

საქართველოს უშუალო პოლიტიკური დამოკიდებულ ე-
 ბა რუსეთთან იწყება მე-18 საუკუნის ოციან წლებში რე დე-
 საც პეტრე პირველის დაპყრობითი პოლიტიკის მერ ხელით
 რუსეთი კავკასიას მიადგა. პეტრე პირველმა, რე მელიც
 სპარსეთ-ინდოეთის წინააღმდეგ ლაშქრობაზე ოცნებებდა,
 მოახერხა მრავალი დაპირებებით გადაებირებია თავის მხა-
 რებე, როგორც მოვაგშირე ამ ლაშქრობაში, საქართველოს
 მეფე ვახტანგ V, რომელსაც ამ შემთხვევაში თავდაცვის ინ-
 ტერები ამოძრავებდა. ბრძოლის დაწყებისას პეტრემ უცეკვი
 პირი იბრუნა უკან რუსეთისენ და მიატოვა ვახტანგი მარ-
 ტოდ ბრძოლის ველზე. ამის შედეგი იყო ქართლის აოხრება
 მტრის მიერ. საქართველო-რუსეთის დამოკიდებულების ეს
 პირველი ეპიზოდი ამით ვათავდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ
 ეკატერინე II განაახლა დამოკიდებულება საქართველოსთან
 და დაიყოლია ერეკლე II და სოლომონ I მონაწილეობაზე ოს-
 მალეთთან ომში, მაგრამ საქართველოში გამოგზავნილ ი რუ-
 სის ჯარი გაყვა პეტრე პირველის კვალს, ის სისტემატიურად
 გარბოდა ბრძოლის ველიდან და სტროებდა ქართულ ლაშ-
 ქარს მარტოდ ძლიერი მტრის პირისპირ. ამ მხავარული და
 მუხთლური პოლიტიკის მიზანი რყო საქართველოს დასუს-
 ტება და ამ რიგად მისი აფილად დაუფლება. ეს იყო პოლი-
 ტიკა დამეტების, ომში ჩათრევის და შემდეგ განწირების.
 რუსეთს კარგად ქონდა გათვალისწინებული მრავალი მტრე-
 ბით გარშემორტყმული საქართველოს მაშინდელი უმწევო
 მდგომარეობა და ის გარემოებაც, რომ თავისი სახელ მწიდო-
 ებრივი არსებობისთვის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში
 მებრძოლ საქართველოსთვის აგრესიულ არაქრისტიანულ
 მტრებთან მშვიდობიანი მორიგების მოღვასის გამონახვა შე-
 უძლებელი იყო ბოლოს იძულებული იქნებოდა, ძლი-
 ერ ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობას ამოფაარებოდა.
 რუსეთი ა მოსტყუდა: დაქანცული და სისხლიდნ დაცლი-
 ლი საქართველო სდებს რუსეთთან 1783 წელში მფარველობის
 და მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს

სამეფო ტახტს და სახელმწიფო ობრივ არსებობას უზრუნველყოფდა. საქართველო ენდო რუსეთს. მაგრამ ეკატერინეს მემკვიდრემ გასტეხა დადებული ფიცი და დაარღვია ხელშეკრულება, გააუქმა ქართული სამეფო ტახტი და მოსპონქართული სახელმწიფო. რუსეთმა აქცია საქართველო რუსულ პროვინციად, ამოშალა ისტორიაში მისი ხენება და გაჯრო ის არა თუ სახელმწიფო ობრივად და კულტურულად, არამედ გეოგრაფიულადაც.

ამ ძალადობის წინააღმდეგ მთელი საუკუნის განმავლობაში წარმოებულ შეურგებელ ბრძოლის შემდეგ საქართველოს ჩდება ისევ თავისუფალი, დამოუკიდებელი, ცნობილი თვით საბჭოთა რუსეთის მიერ, რომელთანაც ის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით კეთილმეზობლურ განწყობილებას ამყარებს. მაგრამ საქართველოსთვის ეს ხელშეკრულებაც საბედისწერო ჩდება: საბჭოთა რუსეთი არღვევს, საქართველოს მხრით ყოველი საბაბის მიუცემლად, ამ ხელშეკრულებას და ძალით იპირობს თავისუფალ საქართველოს.

ჩვენ ეცდავთ, რომ რუსეთ-საქართველოს ორ საკუნიანი დამყიდვებულება დამყარებულია სიტყვის გატეხის და ლალატის პოლიტიკაზე ძლიერი რუსეთის მხრით, ეს პოლიტიკა ახასიათებს მას ისტორიულად. რა და ვინ არის იმის თავდები, რომ ბოლშევიზმის მემკვიდრე სხვა გზაზე ივლის? გულუბრყვილობა იქნებოდა ვითიქროთ, რომ ეს მემკვიდრე დემოკრატია იქნება. დემოკრატია დეკრეტით არ დამყარდება, რუსეთის ისტორიულ და სოციალურ სინამდვილეში კი ის ჯერჯერობით მკვიდრ საფუძველს მოკლებულია. ამიტომაც დემოკრატიული პრეტენზიების მატარებელი მომავალი რუსეთი იქნება დეკრეტით მოვლინებული, შემთხვევითი და მაშასადამე უდლეური. რუსეთის ასეთ განვითარებაზე საქართველო თავის მომავალს ვერ ააგებს.

მიუნხენი, 27 აგვისტო 1949 წ.

3, 0,

8263380 5383623990.

წასული წლის უკანასკნელ კვირეში განხეთვებმა მოიტანა ცნობა, რამაც დღევანდველ აბობოქრებულ მოვლენების ჩრდილში თითქმის შეუმჩნევლად გაიარა. ცნობა აღნიშნავდა, რომ დაფებულ იქნა მოვერიიებითი ხელშეკრულება სპარსეთ-ს მასლეთ და საბერძნეთს შორის. ამ ცნობის გამოქვეყნების დროს სპარსეთის შაპი შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა.

ეს იმ ხასიათის პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც თავის ფასებით უშალოთ დამკიდრებულია დაინტერესებულ სახელმწიფოთა როგორც საგარეო პლიტიკის, ისე

შეიარაღებულ ძალთა ორგანოებში. ამიტომ საჭიროა ამ მოვლენის განხილვა სამხედრო თვალსაზრისითაც.

დღეს, სულ ერთია, თუ აღნიშნული ხელშეკრულება ჩამყალიბებული და დადგებულია, ან თუ ეს ცნობა ნაადრევია, მაგრამ უკვე ცხადია, რომ მოსალოდნელ შეიარაღებულ შეხლის მთავარ ასპარეზზე ეს დიდ მნიშვნელოვანი და კონკრეტული გადაჯგუფება ჩამოყალიბდა.

ამ მოვლენის სრულ შეფასებისთვის აუცილებელია აღნიშნულ სახელმწიფოთა სიგრცის ისტორიის გადახედვა.

მთელი ეს სივრცე ე. წ. მახლობელ აღმოსავლეთს ეკუთვნის. «მახლობელი აღმოსავლეთი» მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში უდიდეს შეხლათა წყაროს წარმოადგენდა და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არ სცილდებოდა მსოფლიო პრესის ფურცლებს. ამ საკითხმა უდიდეს გამწვავებას მიაღწია მაშინ, როდესაც რუსეთი უშუალოთ შეიჭრა მახლობელ აღმოსავლეთის სივრცეზე. ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთმა მაგრა მოიკიდა ფეხი კავკასიაში.

მახლობელ აღმოსავლეთისკენ რუსეთი მიიწვედა ორი გზით—ბალკანეთით და კავკასიით. ბალკანეთის მიმართულების პირველი უშუალო მიზანი სტამბოლი და სრუტეები იყო. მაგრამ ეს გზა არ იყო სკეციალურათ ხელსაყრელი. ბალკანეთის ერები იბრძოდენ თავისუფლების მოპოებისთვის და ამ ბრძოლაში სიამოვნებით სარგებლობდენ რუსეთის დახმარებით, მაგრამ მათ სრულიადაც არ სურდათ, რომ რუსეთს ოსმალეთის აღვილი დაეკავებია და შემდეგ თითონვე დაემორჩილებია ეს განთავისუფლებული ერები. ამის გამო ეს განთავისუფლებული ერები ხშირად სარგებლობდენ სხვა მძღავრ სახელმწიფოთა დახმარებით, რომ შეუძლებელ ეყოთ რუსეთის გაბატონება ბალკანეთზე.

სულ სხვა პერსპექტივები გადაუშალა რუსეთს მახლობელ აღმოსავლეთის სივრცეზე კავკასიის დაბყრობაში. ამით გაეხსნა მას უახლოესი გზები მთელ მახლობელ აღმოსავლეთის დასაპყრობათ. და თვით კავკასია შეიქნა რუსეთისათვის ამ მოქმედების საუკროვო ბაზათ და პლატფორმათ.

ამ გარემოებამ სრულიად დაარღვია ამ სივრცეზე არსებული ძალთა განწყობილება და ყველა აქ არსებული სახელმწიფო მოსპობის საფრთხის წინაშე დააყენა.

რუსეთის აგრესიონას მახლობელ აღმოსავლეთის სივრცეზე, თავის საარსებო ინტერესების დაცვისათვის შეებრძოლა ინგლისი. ამ თა მეტოქეთა შორის მახლობელ აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს და ერის ინტერესს ინგლისის მხარეზე იყო, ვინაიდგან მათვის რუსეთს სრული და უტყუარი განაღვეულება მოქონდა.

აღნიშნულ გარემოებამ რუსეთის და ინგლისის მძღავრი და გადამწყვეტი შეხლა აუცილებელი გახდა, მაგრამ ეს საჭი-

თხი რიგიდან ჩამოხსნა სულ სხვა მოულოდნელ მოვლენამ. მასლობელ აღმოსავლეთის სიცირცეში მდლაცრათ შეიჭრა ახალი მესამე ძალა—ეს იყო ბისმარკის მიერ შექმნილი ძლიერი გერმანია. გერმანეთის იმპერია და აგსტრა-უნგრეთი, მიუხედავათ თავიანთ მეტოქეობისა გერმანელ ერის საშინაო საკითხებში, ამ ერის საგარეო ხაზს ახორციელებდენ ერთად და სრულ შეთანხმებით.

ამ ახალ ძლიერების მოქმედებამ ინგლისი და რუსეთი მიიყვანა იმ დასკვნამდის, რომ უკეთესია ეს მესამე ძალა მოიშორონ გზიდან და მის მოშორებამდის გადადონ თავიანთი მეტოქეობა. ამ ნიადაგზე ინგლისი და რუსეთი დაუახლოვდენ ერთმანეთს. ამით მომავალ შეხლის და სამხედრო გათამაშების სარბიელმა მასლობელ აღმოსავლეთიდან ევროპის ცენტრში გადინაცვლა და მასლობელ აღმოსავლეთის საკითხის სრული გადაჭრა დროებით რიგიდან მოიხსნა.

მოვლენათა ასეთ ვითარების შედეგი ორ პირებელ მსოფლიო ომის ერთერთ მიწვევათ მხოლოდ ის ლა დარჩა, რომ რუსეთის და ინგლისის შეჯიბრებიდან მოშორებულ იქნა გერმანეთი, როგორც მესამე ძალა. ამით ამ ორ უდიდეს ომის მნიშვნელობა უბრალო მორიგე ბრძოლის მნიშვნელობამდის დაცუა და მთავარ საკითხის გადაწყვეტა კაუიან თოვის დროიდან ატომის ხანამდის დავვინა.

დღეს ამ სარბიელზე მესამე მეტოქე ძალა აღარ არსებობს და მთავარი გათამაშება დაუბრუნდა თავის პირებელ დაწყებით გამოსავალ წერტილს, მაგრამ როგორ გამოიყერება დღეს ამ მოვლენის მთავარი მომქმედი მხარენი და რა სახით ეწყობა ამ პოლოტიკურ თამაშის სამხედრო გამომეტყველობა?

რომანვების დინასტიის მიერ ჩამოყალიბებულ რუსეთის ძეელ ეროვნულ ხაზს დღეს საჭიროა წითელი რუსეთი ახორციელებს. მას უკავია აზიის კონტინენტის უდიდესი ნაწილი და მკეთრი ფეხითა დგას ცენტრალურ ევროპაში. სულ ადვილათ შეუძლია შეესიოს დასავლეთ ევროპას და კონტინენტზე, თითქმის, არც ეგულება თავის სათანადო მოწინააღმდეგ შეიარაღებული ძალა.

მაგრამ ეს მიღწევა არ არის გამტკიცებული თუ რუსეთი ამ პოზიციაზე გაჩერდა. რუსეთს სიმკვიდრეს აძლევს მხოლოდ მასლობელ აღმოსავლეთის დაპყრობა. ამ შემთხვევაში აზიის დანარჩენი ნაწილი (ინდოჩინეთი და ინდოეთი) თავის თავათ ვარდება რუსეთის ხელში, კინაიდან მისი დაცვა შეუძლებელი ხდება. შეორეს მხრივ რუსეთი იყიდებს ფეხს ხმელთაშუა ზღვის აუზში და კეტავს შავჭლებს. ამით იგი მოწინააღმდეგისთვის მიუწვდენელს ხდის თავის სასიცოცხლო ნერვებს, მოთავსებულს სწორედ ამ ზღვის აუზში. ასეთ წარმატებას არ აძლევს რუსეთს დასავლეთ ევროპის არც ერთ სახელმწიფოს დაპყრობა. ამ ხაზს რუსეთი ახორციელებს მთელი შეგნებით.

რუსეთის ასეთ აგრესიას თავის სასიცოცხლო ინტერესებისათვის წინააღმდეგობას უწევს ანგლო-საქსონელთა ნაცია. ამ ერის ინტერესებს დღეს ერთათ ემსახურება ორი სახელმწიფო: ინგლისი და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები. ამ სახელმწიფოთა ინტერესებს სრულიად ეგუება და მათ ძალებზე ამყარებს თავიანთ სახელმწიფოებრივ არსებობის დაცვას მახლობელ აღმოსავლეთის კველა სახელმწიფო. არც სცდებიან, რუსეთი ამ სახელმწიფოებისთვის ნიშნავს სრულ პოლიტიკურ და ფიზიკურ მოსპობას, მაშინ როდესაც მათი არსებობა უკვე რამდენჯერმე იქნა გადარჩენილი სწორეთ ანგლო-საქსონელ ერთან მუშაობის წყალობით.

პოლიტიკურ ძალთა განწყობილებიდან ნათლად ჩანს, რომ ძველი კონტინენტი მომავალ შეხელაში წყნარ ჟყვანედან ატლანტიკიანმდის ბრძოლის ალში იქნება გახვეული. თვით ევროპის სივრცეზე დიდ მოქმედებათა და არაჩვეულებრივ დიდ მანძილიან მოძრაობებს ექნება ალაგი, მაგრამ გადამწყვეტ მნიშვნელობის მოქმედებანი სწორეთ მახლობელ აღმოსავლეთის სივრცეზე თავსდებიან. ამ მოქმედებათა მთავარი ლერძის ერთი მხარე უკვე დღესვე ნათლად ეყრდნობა კავკასიის სივრცეს. ამით ეს კუთხი ახალიათ იღებს თავის ძველი ისტორიულ როლს.

რა სამხედრო მნიშვნელობას ანიჭებს ამ ქვეყანას დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა?

რუსეთისათვის ეს სივრცე არის ჭიშკარი, საიდანაც იგი უნდა გამოვიდეს აღმოსავლეთის ნახევარ სფეროზე გასაბარონებელ ბრძოლისათვის.

რუსეთის მოწინააღმდეგისათვის კავკასია არის ის კლიტე, რაც რუსეთს თავიდანვე წაართმევს ყოველგვარ ინიციატივას მახლობელ აღმოსავლეთის სივრცეზე გადამწყვეტ სამხედრო გათავაზებათა წარმოებაში.

ეს მნიშვნელობა ორთავე მხარესთვის აქვს მთელ კავკასიისა და არა მის რომელიმე განმარტოვებულ ნაწილს. ასევე იყო მუდამ კაცობრიობის ყოველ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში.

რასაკვირველია ამ სტრატეგიულ მნიშვნელობას ზედ ერთვის აგრეთვე ამ სივრცის ეკონომიკური მნიშვნელობაც. რას წარმოადგენს ეს მდგომარეობა თვით კავკასიელ და ამ კონფლიქტის სხვა მონაწილე ერთათვის?

მთელი კავკასიონი, უკვე ორას წელზე მეტია, რაც გამარტოვებული ებრძევის რუსეთის მძაფრ აგრესიონის. თვით კავკასიის წიაღშიც ყოველი თითოეული ერი გამარტოვებული ებრძოდა ამ უკანასკნელ დამპყრობელს. ამ ბრძოლის დასაწყისში კავკასიონმა უკრ მიაღწია საერთო ენას. რა უყოთ! ეს ის დრო იყო, როდესაც არა მარტო კავკასიელი ერები, არამედ ისეთი ერთსახვანი ერნო როგორიც გერმანეთი და იტალია მრავალ პატარა სახელმწიფოებათ იყვენ დაყოფილ-

ნი, რომელიც ერთმანეთს გაუთავებლივ ებრძოდენ. მიუხედავათ ამ მოვლენისა დღვევანდველ კონფლიქტშიც, ისევე როგორც მუდამეამს, ყველა კავკასიელ ერთა ბეჭი ერთი და განუყოფელი იქნება.

მაგრამ არსებობისთვის ბრძოლა ამ შეხლაში მარტო კავკასიის ერთა ბრძოლით არ იწურება. დღეს კავკასიის ერების გამარტოვებულ და თავვანწირულ ბრძოლის პოზიციებზე დგებიან ყველა დამონავებული და დაპყრობილი ერები, რომელთა ხაზიც ბალტიის ზღვიდან ჰიმალაიმდე წვდება.

ამავე პოზიციებზე დგებიან ის ერები, რომელთაც, მართალია, დღეს სახელმწიფო ორგანიზაციის თავისუფლება აქვთ, მაგრამ ამ თავისუფლებას სულ მოკლე ხანში დაკარგვენ და ფიზიკურ მრავპლის გზას დაადგებიან, თუ ერთა დამონავების და დაპყრობის პროცესი შეჩერებული და უკუ შებრუნებული არ იქნა.

ეს კაცობრიობის ვითარების სულ ახალი ეტაპია. დღემდის თავისუფლებისთვის ბრძოლა მხოლოდ ორ უშუალოდ დაინტერესებულ ერის საკითხს წარმოადგენდა. დღეს კი ერთა დამონავების პროცესის შეჩერება და უკუგდება უკვე საერთო კაცობრიობის ყოფნა არ ყოფნის საკითხათ ხდება.

აი მთელი შემადგენლობა იმ ბანაკისა, რომელიც, საკუთარ ფიზიკურ და სახელმწიფო ბრივ არსებობის გადარჩენისთვის, ცხოვრების ვითარებამ ერთ ბრძოლის ხაზშე დააყენა და რასეთის ეროვნულ აგრესისა დაუპირდაპირა.

საერთო ჯამში ეს არის შემდეგი ერი: თავისუფალი ძლიერება ანგლო-საქსონელთა ერის, ყველა დამონავებული ერი და ყველა ის ერი, რომელსაც აუცილებლივ მოელის დამონავება, თუ ერთა დაპყრობის პროცესი არ იქნა შეჩერებული.

რომ ეს სურათი სრული იყოს აუცილებელია თვალი გადავალოთ კიდევ ერთ განსაკუთრებულ მოვლენას. ეს არის ომის და ბრძოლის იდეოლოგიური მხარე. იყო დრო, როდესაც ეს მოვლენა სამხედრო ელემენტათ არ იყო ცნობილი, მაგრამ დღეს აუცილებელია ამ საგნის რამე სახით საბრძოლო გათვლის ცხრილში აღება.

პირველ და მეორე მსოფლიო ომების მსვლელობამ დაგვანახა, რომ კაცობრიობის უდიდესი სიძლიერენი თავიანთ. ოფიციალური იდეოლოგიით უკვე ნანგრევებათ იქცენ და აღარ ქონდათ არც ნივთიერი და არც ზეობრივი საშუალებანი ბრძოლის წარმოებისა. ამავე დროს გამოჩნდენ ახალი პოლიტიკური ძალები, რომელთაც ქონდათ იდეური ძალა ბრძოლის გაგრძელების, თავის არსებობისათვის და იბრძოდენ კიდევ ბევრი ხანი იმის შემდეგ, როდესაც მსოფლიოს ოფიციალურ ძლიერებებმა უკვე დიდი ხნის წინ დაყარეს იარაღი და ხელფი ზევით ასწიეს.

როგორ გამოიყურება ამ მხრივ მომავალ მოწინააღმდეგ გე ბანაკთა ელფერი? აქ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ

625/41

საკითხი არ შეეხება ოფიციალურ სახელმწიფო ბრივ 『სახა-
ზინო』 იდეოლოგიას.

რა იდეური მოტორი ამოძრავებს საბჭოთა ბანაკს? მისი
ნამდვილი და უკანასკნელი მიზანი არის რუსეთის ერის შო-
ვინისტურ აგრესიის დაგვირგვინება მსოფლიოში საკუთარ
პერემონიის დამყარებით. ამის საშუალებას აძლევს მას მხო-
ლოდ დაპყრობილ და დამონაცემულ ერების სამხედრო პო-
ტენციურის განუკითხავი და უაღრესი გამოყენება.

ყველა სხვა დაპყრობილი ერები, რომელიც ამავე გზას
ადგენ ცხოვრებამ უკვე დამარცხა და ამ ლიიანდაგიდან გადა-
ადო. რუსეთი უკანასკნელი ერია, რომელიც ჯერ კიდევ ამ
ლიიანდაგზე დგას და ლამობს ამ უკანასკნელ ზრახვის გატა-
რებას.

რა ზნებრივი სიმტკიცე და გამძლეობა აქვს ამ ერთა
მონობის უკანასკნელ აპარატს?

დღეს მას ველარ ყოფნის თავის საუკეთესო ხანის საშუა-
ლებანი, რომლითაც მან გაიარა მთელი მეცხრამეტე საუკუნე.
დღეს მსოფლიო პერემონიის მოპოდისტვის უდიდეს საშუა-
ლების გამოსალებათ, უკანასკნელი დაპყრობელი სახელმწი-
ფონი უშუალო შეუდგენ დამონაცემულ ერების ფინიკურ
განადგურებას; ამ პროცესის გასატარებლათ და გასამტკიცე-
ბლათ იძულებული არიან ინდივიდუალური მონობა ისეთ
უაღრესობამდის მიიყვანონ, რომ თვით პირამიდების დროის
მონობაც კი სუსტ და მყრთალ მონაცონს წარმოადგენს.

როგორი საბრძოლო გამძლეობა აქვს ასეთ პოლიტიკურ
ქმნილებას? მის შეიარაღებულ ძალას შეუძლია ბრძოლა მხო-
ლოდ მანამ, სანამ სახელმწიფოს ტერორის აპარატს შეუძლია
მოქმედება მთელი თავისი სისწუსტით. იქ, სადაც ეს აპარატი
რაიმე შეფერხებას შეხვდება, თავდება ამ ბანაკის საბრძოლო
ვარგისობაც: ეს მომენტი იწყება დოლევანდელ სახის ბრძო-
ლის ველიდან. ეს არის უკანასკნელი სიტყვა ერების დაპყრო-
ბის ბანაკისა.

როგორ გამოიყურება მოწინააღმდეგე ბანაკის სიმტკიცე?
ამ ბანაკში გროვდება ყველა ის ელემენტი, რომელსაც აქვს
გადაწყვეტილება და უნარი ბრძოლისა თავისარსებობისთვის.

ამ ერების მიზნებს კაცობრობა მიყავს ერთ გარკეულად
ჩამოყალიბებულ მდგომარეობისაკენ—მოსპობა ერთა მონო-
ბის. ამ ერებთან მუშაობა ეწყობა თავისთავათ, ყოველგვარ
იძულების გარეშე, საკუთარ და საერთო ინტერესების შეგნე-
ბით. მათ შორის მაგრა იკიდებს ფეხს შეგნება, რომ რო-
გორც თვით ბრძოლა, აგრეთვე მის მონაპოვართა შენარჩუ-
ნება საერთო ძალებით უნდა იქნეს გატარებული.

ეს ბანაკი ბრძოლის ველზე გამოვა ყოველგვარ იძულე-
ბის გარეშე ურყევი გადაწყვეტილებით, რომ მოიპოვოს და
განამტკიცოს საკუთარ არსებობის უფლებანი. ეს გარემოება
ქმნის მძლავრ უპირატესობას მოწინააღმდეგე ბანაკისადმი.

ბევრი ნიშანი გვიჩვენებს იმას, რომ ეს ბრძოლა გათამაშ-
დება მოკლე ხანში, ჯერ ისევ თანამეტროვე თაობის მქერდზე.
მისი იდეოლოგიური სახე ხაზს უსვამს კიდევ ერთ განსაკუთ-
რებულ მოვლენას.

ეს იქნება გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც დიდი ხნით
შეცვლის და ჩამოაყალიბებს კაცობრიობის არსებობის სა-
ხეს. ამ ბრძოლის უშედევო გათავება შეუძლებელია. იგი ან
მოსპობს ერთა მონობის პრინციპს და ეს ერები საკუთარ
წილში დაამყარებენ ინდივიდუალურ თავისუფლებას.

ან, თუ ეს მიზანი ვერ იქმნა მიღწეული, დლევანდელ
ბრძოლის ტექნიკამ ისეთ საფეხურს მიაღწია, რომ კაცობრი-
ობას არ შეუძლია გაუძლოს ხანგრძლივ ომებს და ეს უკვე
საერთო კითხვის ნიშანს უსვამს თუ კაცობრიობა მოახერ-
ხებს კულტურულ კრებულის სახის შერჩენას.

რა სახელმძღვანელო დასკვნები გამომდინარეობენ არ-
სებულ მდგომარეობიდან ჩვენთვის, კავკასიელ ერებისთვის?

მიუხედავათ მძიმე წასულის და არსებობისთვის ბრძო-
ლის უძნელეს სახისა, ამ ერებმა განვლეს თავიანთ ისტორიის
უმძიმესი ხანა, როდესაც იძულებული იყვენ ებრძოლათ
განმარტოებული. მათ ეროვნულ სახის შერჩენით მოაღწიეს
იმ მომენტამდის, როდესაც ერთა განთავისუფლების საკითხი
უკვე საერთოთ კაცობრიობის ყოფნა არ ყოფნის საკითხათ
იქცა. ჩვენი დამპყრობელისთვის შეუძლებელია თავის საბო-
ლოვო მიზნის მიღწევა. მისთვის შეუძლებელია კავკასიელ
ერების ფიზიკური მოსპობა. დასასრულ, როგორც დამახასი-
ათებელ ისტორიულ ფაქტს, კიდევ ერთ მოვლენას უნდა მი-
ექცეს ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ ორ მოწინააღმდეგ მსოფლმხედვე-
ლობათა საბრძოლო გათამაშების გადამწყვეტ მოქმედებათა
სარბიელი თავსდება იმ ძეველ ბრძოლის ველზე, სადაც ყო-
ველთვის წყდებოდა ასეთი განზომის საკითხები. ეს არის ე. წ.
მახლობელი აღმოსავლეთი, რომელიც წარმოადგენს აკვანს
კაცობრიობის დლევანდელ კულტურისა.

ვ. ნა—ლი.

ჩ ე დ ა მ ც ი ი ს ა გ ა ნ .

ჩვენ გვსურს დაგებჭილოთ სია იმ პირთა, ვინც საქართვე-
ლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიხოცა: ასეთებია
აჯანყებაში მონაწილენი და დახოცილნი, რუსეთში და ციმ-
ბირში გადასახლებულნი და იქ გარდაცვლილნი.

ვთხოვთ ყველას, ვინც იცის ამათი სახელი და გვარი გვა-
ცნობოს და თან მოაყოლოს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ნორი აორელანდას დაბალების დღე.

მიმდინარე წლის 15 იანვარს ნოვ კორდანიას შეუსრულდა
82 წელი. მიუხედავათ იმისა, რომ ამ დღის აღსანიშნავათ არა-
ვითარი ორგანიზაციული თადარიგი არ ყოფილა მიღებული,
მის ბინაზე თავი მოიყარა საქმაოდ მრავალ რიცხვანნა მე-
გ-
გობრებმა და აგრეთვე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენ-
ლებმა, მათ შორის იყო პარტიის ქართველთა კოლონიის თავ-
მჯდომარე ბ-ნი ლ. ზურაბიშვილი, რომელმაც მიულოცა და-
ბადების დღე. დამტრეთა შორის ევ-გეგეპკორმა სიტყვით
მიმართა მას, უსურვა დღეგრძელობა ქართველი ერის საბეჭ-
ნიეროდ. ნოემბრი მადლობა გადაუხადა კულტურას და გამოსთხვა-
რშენა ახლო მომავალში საქართველოს განთავისუფლების.
ა. ტ.

606m հանձն.

1949წ. 5 დეკემბერის პარლიმენტის გარდაიცვალა დიდი ხნის ავათ-
მყოფობის შემდეგ ნინო თოთურიძე-რუსიას. ის იყო დიდი
ისტორიული წასულით. საქართველოს სოც.-დემ. პარტიის პირვე-
ლათ იხილა ქართველი ქალი თავის ორგანიზაციაში პროპა-
განდისტის და ორგანიზატორის როლში. ეს იყო ნინო რუსი-
ასი. თბილისის ს.-დემ. ორგანიზაცია დიდათ კმაყოფილი იყო
ამ ახალი მოვლენით, რასაც იმან დიდი ფართო მიღება გაუ-
კეთა. შემდეგ ნინომ კიდევ მონახა თრი ქართველი ქალიშვი-
ლი მცოდნე და ენერგიული და შემოყვანა პარტიაში. ნინომ
პირველმა გაულ სოც.-დემ. პარტიის კარგები ქართველ ქალს.
მისი ხსოვნა დარჩება მუდმივად ჩევნს ისტორიაში. მის მეუ-
ლელებს ამბ. მ. რუსიას ვუცხადებთ ლრმა თანაგრძნობას და გუ-
ლითად მწუხარებას.

ତାଙ୍କର ନିଜରେ ଥିଲା.

დაუგიშვარი ნოე რამიშვილის უკანასკნელი ქალიშვილი თამარა გარდაიცვალა, 1949 წ. 2 დეკემბერის 15-ით. ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გრგო ახალგვაზღა, გონიერი, მშრომელი და ნიჭიერი ახე უცემ დაკარგა მის ოჯახს. უცხადებთ მის ოჯახს ჩვენ გულშროველ თანაგრძნობას და მწერებას.

დაცვარება «ჩვენი დროშა»-ს.

ავსტრიიდან რედაქციამ მიიღო ქართველ პატრიოტი-
საგან ათასი ტრანსკრ.

A decorative horizontal border element featuring a repeating pattern of stylized ovals and diamonds.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემ-
დეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)